ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 28 თებერვალი, 2018 №49 (7594) ფასი: 50 თეთრი

## ვინ არიან ბაგრატიონები, რომლებსაც დამწვარი ბაზრობა „თერგი“ ეკუთვნით



გვ.4

27 თებერვლიდან

შიო გვეტაძე

მონანიება

ქართული დეტექტივი ტომი 14

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




# „ხალხი, რომელიც სეპარატისტებს შიშის ზარს სცემდა, „ქართულმა ოცნებამ“ ციხეში გამოკეტა“



გვ.3

## ზვიად კუპრავა: „მიცვალებულების გადმოცემაზე აფხაზებიც უარს ამბობენ“



გვ.2

## „ოთხოზორიასა და ტატუნაშვილის მკვლელები აუცილებლად უნდა დაისაჯონ და ამისთვის სხვა მეთოდებიც არსებობს“





## „ივანიშვილმა საქართველო სახანძრელოდ გადააქცია“

გვ.5

ბეჟან ნათელაშვილი: „ქართული ოცნების“ გემმა ჩაძირვა დაიწყო“

## დავით ქაცარავა: „რასაც ტატუნაშვილების ოჯახი იტყვის, ჩვენც იმას გავაკეთებთ“

გვ.2



### სამართალი

გვ.7




სამართალდამცველის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობაზე სანქციები მკაცრდება



კორცხელის ინციდენტში ბრალდებულები და მათი ადვოკატი ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ დააჯარიმა



ბრალდებულ ბექა კირვალიძის დედა: „დავით როსტომაშვილმა ძალიან კარგად იცის, რომ ყაჩაღობა არ მომხდარა“

### ეკონომიკა

გვ.6



თევდორე მღვდლის ქუჩაზე დამწვარი ბაზრობის შესახებ დამატებითი დეტალები ხდება ცნობილი



ბათუმში 54-სართულიანი „მარიოტი“ შენდება

რომელ ქვეყნებში მიანიჭებენ ქართული მართვის მოწმობას საერთაშორისო ძალას




ISSN 1987-9385

6 „ბანკებს სასოფლო-სამეურნეო სესხების გაცემის პრობლემა შეექმნებათ“

4 მირიან მირიანაშვილი: „საქართველომ რუსეთის მეგაჩავარდნები თავის სასარგებლოდ უნდა გამოიყენოს“

6 „ფოთის ნავთობგადამამუშავებლის“ მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება დაიწყო

4 მიკროსაფინანსოებს მოგება 242%-ით შეუმცირდათ

# დავით ქაცარავა: „რასაც ტატუნაშვილების ოჯახი იტყვის, ჩვენც იმას გავაკეთებთ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის" კითხვებს მოძრაობის „ძალა ერთობაშია" ლიდერი, მსახიობი დავით ქაცარავა პასუხობს.



## „რუსეთის მიმართ გაუღიზიანებლობის პოლიტიკამ არაფერი მოგვიტანა“

***– ბატონო დავით, 22 თებერვალს საოკუპაციო რეჟიმმა საქართველოს სამი მოქალაქე – არჩილ ტატუნაშვილი, ლევან ქუთაშვილი და იოსებ პავლიაშვილი ახალგორში დააკავა. არჩილ ტატუნაშვილი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. საოკუპაციო რეჟიმი ცხედრის გადმოცემას აჭიანურებს. ოჯახმა აქციაც გამართა. რა ხდება?***

– დღეს, სამწუხაროდ, კვლავ ის არის, რაც იყო გუშინ. სამწუხაროდ, არჩილ ტატუნაშვილი გადმოსვენებული არ არის. საზოგადოებას კარგად მოეხსენება, თუ რა ხდება ამ დღეებში.

***– რა შედეგი მოჰყვა გზის გადაკეტვას?***

– არ ვიცი, ამას თუ შედეგს დავუძახებთ, შინაგან საქმეთა მინისტრი შეხვდა არჩილ ტატუნაშვილის მამას და, როგორც იქ გაჟღერდა, ჩვენ უნდა დავშლილიყავით, გაგვეხსნა გზა და კიდევ 24 საათი ითხოვეს არჩილის გადმოსასვენებლად. ეს არის მოცემულობა, რაც ჩვენ დღეს გვაქვს. აქვე ვიტყვი, რომ ორშაბათს გაჟღერდა ინფორმაცია, რომ 2-3 დღე დასჭირდებათ რუსებს ექსპერტიზის ჩასატარებლად და მხოლოდ ამის შემდეგ გადმოგვცემენ. ზუსტად იმ თარიღებზე მივდივართ, რაც რუსებმა დაასახელეს და ვფიქრობ, რომ, სამწუხაროდ, ჩვენი მხრიდან ვერ ხდება ფორსირება ამ პროცესის. ხდება მხოლოდ რუსეთის მიერ დასახელებულ თარიღებზე დათანხმება.

***– რეალურად რა უნდა იყოს შეყოვნების მიზეზი? ითქვა, რომ დამოუკიდებელი ექსპერტიზა დაინიშნა.***

– იცით რა, ეს არის ცინიზმი! მე ვსვამ კითხვას – დამოუკიდებელი ექსპერტიზა ვინ უნდა ჩაატაროს, მკვლელმა?! ჩვენ ხომ ვთანხმდებით იმაზე, რომ ის მოკლულია! გუშინ ჩვენ გავაჟღერეთ კიდეც ინფორმაცია, რომელიც ჩვენი წყაროებით მოვიპოვეთ მკვლელებთან დაკავშირებით. შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან არანაირი უარყოფა არ მომხდარა ამ ინფორმაციის, ალბათ ისინიც მუშაობენ და მათაც გააჩნიათ ეს ინფორმაცია. რეალურად ჩვენ გვაქვს მოცემულობა, რომ რუსეთი, მკვლელი, ატარებს დამოუკიდებელ ექსპერტიზას?!

***– აქ ხომ სეპარატისტულ რეჟიმზეა საუბარი?***

– სეპარატისტული რეჟიმი ერთ ნაბიჯს და ერთ სიტყვასაც რუსეთის დაუკითხავად არ ამბობს და არ დგამს. ჩვენ მოვიპოვეთ ინფორმაცია, თუ ვინ მოკლა, რა ვითარებაში და ვინ იყო დამკვეთი და შემსრულებელი! ეს არის ახალგორის გამგებელი ვინმე ფილიპ ხაჩიროვი და ვინც მოკლა, ის არის ლუდვიგ ხაჩიროვი. ამ წყაროს მიერ ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ არჩილ ტატუნაშვილი საკონტროლო გასროლით იქნა მოკლული. აი, ეს რეალობა გვაქვს დღეს. ასევე ჩვენ გვაქვს რუსეთის მიერ დაწესებული ვადები. ცხინვალის ტელევიზიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ არჩილ ტატუნაშვილის ცხედარი გადაასვენეს რუსეთში. შესაბამისად, ის 24 საათი, რომელიც გუშინ დასახელდა, უკვე არ ვიცი, რამდენად რეალურია.

***– იმის თქმა გინდათ, რომ შესაძლოა კიდევ გაიწელოს დროში?***

– ძალიან მინდა, რომ ეს არ მოხდეს და დათქმული ვადა შესრულდეს. თუმცა გამომდინარე იქიდან, რა მოცემულობაც გვაქვს, არის ის, რომ ცხინვალმა მოიშორა პასუხისმგებლობა და არჩილ ტატუნაშვილის ცხედარი გადასცა რუსულ მხარეს. სამწუხაროდ, მიმაჩნია, რომ ეს პროცესი კიდევ გაიწელება. თუ გავიხსენებთ ბაშარულის საქმეს, როდესაც ეს ადამიანი 6 თვე არ გადმოსცეს ქართულ მხარეს. ანალოგიურად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რუსები ამას კვლავ გაწელავენ და კვლავ გამოიყენებენ მანიპულაციებისთვის.

***– რა ინფორმაციას ფლობთ დანარჩენ ორ ქართველზე, რომლებიც ტატუნაშვილთან ერთად დააკავეს? მათ სიცოცხლესაც ხომ არ ემუქრება საფრთხე?***

– ისინი ახლა იმყოფებიან შინაპატიმრობაში. მათ ჩამორთმეული აქვთ დოკუმენტები და მათ არ უშვებენ საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. როგორც ჩანს, დაკავებულებს გააჩნიათ ისეთი ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება დაადასტუროს და გაამყაროს ის ფაქტები და ვარაუდები, რომლებიც ჩვენ გაგვაჩნია არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით.

***– რას იტყვით ხელისუფლების პოზიციასა და მის პოლიტიკაზე?***

– მე ყოველთვის ვერიდები კრიტიკას, მაგრამ დღეს შემიძლია ვთქვა, რომ არგაღიზიანების პოლიტიკა, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება რამდენიმე წელიწადია ახორციელებს, არის არაეფექტური. არგაღიზიანების პოლიტიკამ არ მოგვიტანა არაფერი! გადმოწეული მავთულხლართები, ასეულობით ადამიანის გატაცება, ტერორი მოგვიტანა მხოლოდ და მხოლოდ და მოკლული მოქალაქეები!

სასწრაფოდ გადასახედია ეს არგაღიზიანების პოლიტიკა! მით უმეტეს, რუსეთი თვითონვე აცხადებს ოფიციალურად კარასინის პირით, რომ რუსეთის პოლიტიკა ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ არ შეიცვლება.

***– ეს რაზე მეტყველებს?***

– ეს მეტყველებს იმაზე, რომ არგაღიზიანების პოლიტიკა არ მუშაობს! ეს არის არაეფექტური და დღესაც იგრძნობა ამის შედეგები. ტატუნაშვილის შემთხვევაში ჩვენ ისევ და ისევ მივდივართ რუსეთის მიერ დაწესებულ ვადებთან.

***– ოჯახი ელოდება ამ 24-საათიანი ვადის გასვლას, თუკი გადაიწია დათქმულმა ვადამ, რა იქნება მერე?***

– ეს უკვე ოჯახს უნდა ვკითხოთ. ჩვენ ამ შემთხვევაში ოჯახს ვუდგავართ გვერდით და ჩვენ არ წავალთ ოჯახის გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ.

***– გაკეთდა განცხადებები, რომ თქვენი ქმედება პროვოკაციული ხასიათისაა, რომ ვიღაცის დაკვეთას ასრულებთ და ასე შემდეგ.***

– არ ვიცი, რა გიპასუხოთ ამაზე. რა თქმა უნდა, იქნებოდა ასეთი შეფასებები, თუმცა ეს შეფასებები ძირითადად მოდის იმ ადამიანებისგან, რომლებიც არგაღიზიანების პოლიტიკის მომხრეები არიან. ასევე იმ ადამიანებისგან, რომლებიც ღიად უჭერენ რუსეთს მხარს, რომლებიც არ აღიარებენ რუსეთის საოკუპაციო მოქმედებებს, ასეთი ადამიანებისგან სხვა შეფასებას არც ველოდებოდი.

რაც შეეხება დაკვეთას, ძალიან კარგად ხედავს საზოგადოება, რომ ეს არის წმინდა სამოქალაქო მოძრაობა „ძალა ერთობაშია“, რომელიც სამოქალაქო საწყისებზეა დაფუძნებული. არც ერთ პოლიტიკური პარტიის სატელიტი ჩვენ არა ვართ. ჩვენ ღია ვართ ნებისმიერი მოქალაქისთვის, რომელიც მოვა, დადგება, გააპროტესტებს და იბრძოლებს თავისი სამშობლოსთვის. ვერაფერს დაგვაბრალებენ, არავის დაკვეთას არ ვასრულებთ. ჩვენ ვასრულებთ ერთადერთ დაკვეთას, ეს არის ჩვენი ქვეყნის დაკვეთა! საჭიროა მეტი აქტიურობა. გვჭირდება ერის გაერთიანება ამ იდეის ირგვლივ. მხოლოდ ამ დაკვეთაზე შეგვიძლია ვისაუბროთ!

***– როგორი უნდა იყოს ხელისუფლების ნაბიჯები?***

– სასწრაფო რეჟიმში გადახედონ არგაღიზიანების პოლიტიკას. ბევრად უფრო აქტიურად ჩართონ ამ პროცესში საერთაშორისო საზოგადოება. მხარი დაუჭირონ თავის მოქალაქეებს. ხელი შეუწყონ სამოქალაქო მოძრაობას და ერის გაერთიანებას ამ იდეის ირგვლივ! მაქსიმალურად უნდა მიაწოდონ ინფორმაცია საზოგადოებას იმის შესახებ, თუ რა ხდება საოკუპაციო ზონაში.

ინფორმაციის დამალვა არაფერს კარგს არ მოიტანს. ეს იქნება მხოლოდ წამგებიანი სვლა. ის არგუმენტი, რომ რუსეთი ძლიერი მეზობელია და მასთან უნდა ვიმეგობროთ, არ არის სწორი. ის არ მეგობრობს ჩვენთან და მეგობრობა ვიცი ორმხრივი, ცალმხრივად მეგობრობა არ გამოდის! უნდა აღიაროს ჩვენმა სახელმწიფომ, რომ ჩვენი ნომერი პირველი მტერი არის რუსეთი. პირველი ოკუპანტი და ყველაზე აგრესიული მეზობელი, რომელიც ჩვენ გვყავს! რომელიც ყოველდღე იტაცებს საქართველოს მოქალაქეებს, ყოველდღე კლავს და ყოველდღე ეწევა საქართველოს ოკუპაციას!

აი, ეს არის მოცემულობა, რომლის ირგვლივაც უნდა აიგოს სახელმწიფო პოლიტიკა. არგაღიზიანების პოლიტიკა რომ არაეფექტურია, ამას ყველა ხვდება!

# „ოთხოზორიასა და ტატუნაშვილის მკვლელები აუცილებლად უნდა დაისაჯონ და ამისთვის სხვა მეთოდებიც არსებობს“

ნათია ხურცილავა

ექსპერტი მამუკა არეშიძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში საუბრობს იმის შესახებ, თუ რამდენად არის დაცული ძალოვანი უწყების თანამშრომლების პერსონალური მონაცემები.

## მამუკა არეშიძე: „მეტოქეს ჩვენი თუ არ ეშინია, უნდა ერიდებოდეს მაინც“



***– ბატონო მამუკა, არჩილ ტატუნაშვილის ახალგორში მკვლელობამ გააჩინა კითხვა: რამდენად არის დაცული მოქმედი და ყოფილი ძალოვნების პირადი მონაცემები?***

– ეს იმდენად მნიშვნელოვანი საკითხია, იმდენად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს ამ საკითხს, რომ აბსოლუტურად ხელშეუხებელი და დაცული უნდა იყოს ეს მონაცემები.

უკრაინაში ერთ-ერთმა მებრძოლმა, მარტიშვილმა, გააკეთა განცხადება, რომ დაახლოებით 13 ათასი ვეტერანის მონაცემები რუსეთის სპეცსამსახურებს ხელში ჩაუვარდათ. თუ ეს რეალობაა, მაშინ ცუდი და საგანგაშო ფაქტია, მაგრამ მე არ ვიცი, რამდენად რეალურია ეს ინფორმაცია. ის საუბრობს ვეტერანებზე, რომლებიც 90-იან წლებში აფხაზეთსა და სამაჩაბლოში იბრძოდნენ. მე ნაკლებად დამაჯერებლად მეჩვენება ეს ინფორმაცია. ძალიან დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ჩვენ მსგავსი ფაქტების მოწმენი არ ვყოფილვართ.

თუ მართლაც ჩაუვარდათ რუსებს ხელში ჩვენი სამხედრო მოსამსახურეების, სპეცსამსახურების თანამშრომლების პირადი მონაცემები, მაშინ უმკაცრესად უნდა დაისაჯონ ის ადამიანები, რომლებმაც ეს დაუშვეს, რადგან აქ საუბარია ჯარისკაცების პირად მონაცემებზე.

ერთი ინფორმაცია არსებობს, რომელიც რუსულ წიგნში „ქართული დაზვერვა რუსეთის წინააღმდეგ“ არის დაბეჭდილი. ამ მონაცემებით 2008 წლის ომის დროს გორში სამხედრო

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ხალხი, რომელიც სეპარატისტებს შიშის ზარს სცემდა, „ქართულმა ოცნებამ“ ციხეში გამოკეტა“

შორენა მარსაგიშვილი

**ვინ და რატომ ეშინოდათ სეპარატისტებს, რატომ დააპატიმრეს ის ხალხი, რომლისაც ცხინვალსა და სოხუმში ძალიან ეშინოდათ, რისი გაკეთება შეუძლია სახელმწიფოს რუსეთის მიერ ოკუპირებულ რეგიონებში? – ამ თემებზე „ახალ თაობას" სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა ესაუბრება.**

**ზვიად კუპრავა:**

– ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში აფხაზ და ოს სეპარატისტებს შიშის ზარს სცემდნენ, „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ ციხეში აღმოჩნდნენ. „ახალი თაობის“ რამდენიმე ნომერში დაიბეჭდა მასალები ალიკა სამუშიაზე, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე სასწაულებს ახდენდა. ალიკა სამუშია და სხვა ბიჭები ფასდაუდებელ საქმეს აკეთებდნენ და მაშინ სახელმწიფოც თავის სიმაღლეზე იდგა. ოკუპირებულ რეგიონებში თუ რომელიმე ტვინგახურებული სეპარატისტი რამეს გაბედავდა, ყველა ადეკვატურ პასუხს იღებდა. ჩვენი სპეცსამსახურები მათ მართლა შიშის ზარს სცემდნენ.

***– ეს რით გამოიხატებოდა?***

– არ მინდა, ვინმემ ისე გაიგოს, რომ ჩვენი სპეცსამსახურები ოკუპირებულ ტერიტორიებზე გადადიოდნენ და იქ ხალხს ხოცავდნენ, მაგრამ აფხაზი და ოსი სეპარატისტები თუ რამე პროვოკაციას მოაწყობდნენ, ისინი ამის საფასურს გადაიხდიდნენ.

გავიხსენოთ რამდენიმე წლის წინ ბათუმში მომხდარი ტერაქტი, რომლის დროსაც სამაშველო სამსახურის ერთ-ერთი ხელმძღვანელი დაიღუპა. აფხაზებმა პიკაპი აგვიფეთქეს. ჩვენმა უშიშროების სამსახურმა დაადგინა, რომ ეს აფეთქება განახორციელა ცნობილმა აფხაზმა ბოევიკმა ვოლმერ ბუთბამ.

***– ბუთბა ბათუმში როგორ აღმოჩნდა?***

– მან ეს თავისი არხებით გააკეთა და მის მიერ მოწყობილ ტერაქტს ახალგაზრდა შეეწირა. ამაზე საქართველოს სახელმწიფოს ასეთი რეაქცია ჰქონდა – ტერაქტიდან ძალიან მალე ვოლმერ ბუთბა და მისი თანამზრახველი კვეკვესკირი გალის ცენტრში სამაგალითოდ დაისაჯნენ.

მათი დასჯა იყო მესიჯი ყველა სეპარატისტისთვის, რომ მათ მიერ ჩადენილი დანაშაული საქართველოსა და საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ დაუსჯელი არ დარჩებოდა.

მინდა, თქვენს მკითხველს შევახსენო, ვინ იყო ვოლმერ ბუთბა. მას უძლეველის იმიჯი ჰქონდა და აფხაზ სეპარატისტებში დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა. ის ქართველების მიმართ სასტიკი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა როგორც ომის დროს, ასევე მისი დასრულების შემდეგაც. აფხაზეთის თვითმარქვია ხელისუფლებისგან ორმაგი გმირობა ჰქონდა მინიჭებული. გმირის წოდება ქართველების წინააღმდეგ ბრძოლისთვის მიიღო.

ვოლმერ ბუთბას ლიკვიდაციის შემდეგ აფხაზი სეპარატისტები დაფიქრდნენ და მიხვდნენ, რომ თუკი ამ ადამიანს ასე გაუსწორდნენ, იქ არც სხვა დარჩებოდა დაუსჯელი. ამიტომაც ისინი აუტკივარი თავის ატკივებას ერიდებოდნენ და ქართველებიც, ასე თუ ისე, დაცული იყვნენ.

გარდა იმისა, რომ ჩვენმა სპეცსამსახურებმა ბუთბა სამაგალითოდ დასაჯეს, მათ აფხაზეთში ჩამოსული პუტინი საშინელ დღეში ჩააგდეს. აფეთქდა ის ნავი, რომლითაც პუტინი აპირებდა ზღვაში გასეირნებას. აფეთქდა სამზარეულოც. აფხაზეთში გატარებული საათები პუტინს კოშმარად უქციეს.

ეს ყველაფერი იყო იმის პრევენცია, რომ ქართველების დახოცვა და წამება აღარავის გაებედა. დღეს რადიკალურად განსხვავებული ვითარებაა. რამდენიმე დღის წინ სეპარატისტებმა ცხინვალში ახალგაზრდა კაცი მოგვიკლეს. მას ციხეში წამებით ამოხადეს სული.

სამწუხაროდ, ამაზე ჩვენს სახელმწიფოს პასუხი არ აქვს. პასუხის უქონლობა არის ყველაზე დიდი უპასუხისმგებლობა. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ სახელმწიფო არა ვართ. მოგეხსენებათ, ჯარისკაცი არის სახელმწიფოს სიმბოლო და, როდესაც სახელმწიფოს სიმბოლოს მოგიკლავენ, აუცილებლად უნდა მოახდინო რეაგირება.

***– რა რეაგირება უნდა მოახდინოს ამ შემთხვევაზე სახელმწიფომ?***

– ისეთი ნამდვილად არა, როგორიც სოზარ სუბარსა და ახალგორის გამგებელ თინიკაშვილს ჰქონდათ. მათი განცხადებები სეპარატისტებმა ერთგვარ მესიჯად აღიქვეს და დაუსჯელობის სინდრომი გაუჩნდათ. და რა უშლით ხელს, რომ ასეთი საშინელებები კიდევ ჩაიდინონ? ამის სურვილი რომ აქვთ, აშკარაა, მაგრამ არც ხელს უშლის მათ ამაში ვინმე.

ამას, საბოლოო ჯამში, მივყავართ იქითკენ, რომ ნელ-ნელა ჩვენი სახელმწიფო თავმოყვარეობა ქრება. დღეს სუსს ვახტანგ გომელაური და სოსო გოგაშვილი ხელმძღვანელობენ. მათ აქვთ აღებული სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა. სეპარატისტების დანაშაულს მათ უნდა გასცენ პასუხი. მათთვის საკადრისი პასუხის გაცემა ჩვენი სახელმწიფოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია. პასუხს თუ არ გავცემთ, ჩვენს სახელმწიფოს არავინ არაფრად აღარ ჩააგდებს.

***– მოდით, იმ ადამიანებს დავუბრუნდეთ, რომლებიც სეპარატისტებს შიშის ზარს სცემდნენ. ჩვენ რამდენიმე მათგანის სახელი ვიცით, მხედველობაში მყავს რომა შამათავა და ალიკა სამუშია. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით თქვენ ძალიან აქტიურობდით. რა ხდება მის თავს?***

– მის შესახებ საქართველოში მყოფ დიპლომატიურ კორპუსს გავუგზავნეთ წერილები. ყველას უკვირდა, როგორ შეიძლება, სახელმწიფო ასე მოექცეს იმ ტიპის პროფესიონალს, როგორიც სამუშიააო.

***– ამ აქტიურობის შემდეგ მისი მდგომარეობა არ შეცვლილა?***

– მისი მდგომარეობა უფრო გაუარესდა. ის ჩასვეს სამარტოო საკანში. წარმომიდგენია, რა ხდება ახლა მისი და რომა შამათავას გულში. ისინი ტელევიზორში უყურებენ ამ ყველაფერს და არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ.

ალიკა სამუშიას სატელეფონო კომუნიკაციაც შეუზღუდეს. სადღაც 2 თვეა, მას ჩემთან კომუნიკაცია არ ჰქონია. ამ თემის აწევამდე ორ დღეში ერთხელ მაინც მირეკავდა. მას ჩემთან კომუნიკაცია დახურული არხებითაც ჰქონდა. სწორედ ამ არხებით მომაწოდა მთელი რიგი ინფორმაციები. ბოლო პერიოდში საერთოდ აღარ დამკავშირებია.

***– მის ოჯახთან დაკავშირებით რა ხდება? სამუშია ითხოვდა, რომ მისი ოჯახის უსაფრთხოება დაეცვათ. მათთვის დაცვის დანიშვნას ითხოვდით თქვენც.***

– არაფერიც არ ხდება. ოჯახისთვის არავის დაუნიშნავს დაცვა. აფხაზებისა და რუსების კეთილ ნებაზე არიან დამოკიდებული. ისინი ჯერჯერობით არ ცდილობენ, რომ შური იძიონ. სამუშიას ოჯახის მიმართ დაცვის რამე განსაკუთრებული ნორმები არ ამუშავებულა.




იმ სოფელში, სადაც ეს ოჯახი ცხოვრობს, არის პოლიციის განყოფილება. ამ განყოფილებაში უთხრეს, რომ თუ რამე მოხდება, 112-ზე დარეკონ. შსს-შიც იგივე გვირჩიესო.

112-ზე დარეკვა ჩათვალეთ, რომ არაფერი არ არის. ამ ნომერზე ვინც დარეკავს, შსს-ს ვალდებულია, ყველას დაეხმაროს. ეს ოჯახი განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებს. მათ რუსებისა და აფხაზების მხრიდან განსაკუთრებული საფრთხე ემუქრებათ.

პოლიციის განყოფილება მათი სახლიდან დაახლოებით 4 კილომეტრში მდებარეობს. ვინმემ შურისძიება თუ გადაწყვიტა, საკითხავია, რამდენად მოახერხებენ ისინი 112-ზე დარეკვას. რომც დარეკონ, დახმარებამ შეიძლება დააგვიანოს – პოლიციის განყოფილება მათი სახლიდან, როგორც უკვე გითხარით, 4 კილომეტრშია. იქ მისასვლელად 15 წუთი მაინც არის საჭირო. ცუდის გამკეთებლისთვის თავისი ცუდი საქმის გასაკეთებლად 15 წუთი სრულიად საკმარისია.

ასეთი დამოკიდებულება სამარცხვინოა. ასევე სამარცხვინოა ის განცხადებები, რომლებსაც საქართველოს ხელისუფლება ტატუნაშვილთან დაკავშირებით აკეთებს. ისინი ცხედარსაც არ გვიბრუნებენ, ესენი მხოლოდ უსუსურ განცხადებებს აკეთებენ. პირადად მე ამით ძალიან შეურაცხყოფილი ვარ.

***– რა უნდა გაეკეთებინა ხელისუფლებას, სპეცდანიშნულების რაზმი უნდა შეეშვა ცხინვალში?***

– ასე მარტივად ოკუპირებულ ტერიტორიებზე ვერც სამუშია შედიოდა, ვერც შამათავა და ვერც სხვები, მაგრამ ისინი აკეთებდნენ იმას, რაც სახელმწიფოს მხრიდან იყო გასაკეთებელი – არცერთი სეპარატისტი, რომელმაც ქართველების უფლებები დაარღვია, პასუხგაუცემელი არ დარჩენილა. აქ მხოლოდ მათ ლიკვიდაციასა და სამაგალითო დასჯაზე არ არის საუბარი.

***– სეპარატისტების მოტაცებას გულისხმობთ, როგორც ეს მარეკ დუდაევის შემთხვევაში მოხდა? ის წარდგა ქართული სასამართლოს წინაშე და 27 წელი მიესაჯა. „ოცნების“ ხელისუფლებამ ის გაათავისუფლა.***

– წინა ხელისუფლების დროს ასეთი ფაქტები იშვიათობას არ წარმოადგენდა. გავიხსენოთ, როგორ მოხვდა ქართულ ციხეში კოჭოია. ის აფხაზეთის ტერიტორიიდან მოიპარეს და აქეთ გადმოიყვანეს.

ეს იყო ყველაზე ღირსეული პასუხი ქართული სახელმწიფოს მხრიდან. დამიჯერეთ, მისი ლიკვიდაცია უფრო მარტივი იყო, ვიდრე აქეთ გადმოყვანა. არ დაგავიწყდეთ, რომ აფხაზები მას დიდ პატივს სცემდნენ და ხელისგულზე ატარებდნენ.

ასეთი რამე უნდა გააკეთონ ახლაც. ჩვენი სპეცსამსახურების წარმომადგენლები უნდა შევიდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე და ის პირები მოიპარონ, რომლებმაც ტატუნაშვილი წამებით მოკლეს. სახელმწიფოებრიობაზე თუ გვაქვს პრეტენზია, ეს უნდა გავაკეთოთ.



***– ამის გაკეთება ადვილი არ იქნება.***

– ადვილი არც კოჭოიას მოპარვა იყო, მაგრამ გააკეთეს. არც ახლა იქნება მსგავსი ოპერაციის გაკეთება ადვილი, მაგრამ უნდა გავაკეთოთ. ჯარისკაცი ქვეყნის სიმბოლოა და ჯარისკაცის მკვლელს სათანადო პასუხი უნდა გავცეთ. სათანადო პასუხი უნდა გავცეთ მათაც, ვინც საქართველოს მოქალაქეების უფლებებს არღვევს.

ასე თუ არ მოვიქცევით, არცერთი თავმოყვარე სახელმწიფო არ დაგველაპარაკება. ერთადერთი, რუსეთი და მისი სატელიტები თუ დაგველაპარაკებიან. მათ აწყობთ, რომ საქართველო ასეთ მდგომარეობაში იყოს. უთავმოყვარეო ადამიანებთან კომუნიკაციას ყველა ერიდება, ასევე არ უყვართ უთავმოყვარეო სახელმწიფოსთან საუბარი.

იმაზე არაფერს ვამბობ, რომ მსგავსი პასუხი იქნება მესიჯი სეპარატისტებისთვის და ისინი საქართველოს მოქალაქეების მოკვლასა და დამცირებას ველარ გაბედავენ.

***– სეპარატისტებისთვის საკადრისი პასუხის გაცემას ბევრი ითხოვს. სოზარ სუბარი ამბობს, რომ ვინც ასეთი მოთხოვნებით გამოდის, რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს.***

– სუბარმა ეს განცხადება ტატუნაშვილის ახლობლების მიერ გამართულ აქციაზე გააკეთა. ამ ადამიანებმა გზა რატომ გადაკეტეს? იმიტომ, რომ სახელმწიფოს მათთვის ყურადღება მიექცია. სახელმწიფო არაფერს აკეთებს და ახლა ოჯახი იმაზე დარდობს, როგორმე ნაწამები შვილის ცხედარი დაიბრუნოს.

მიცვალებულებთან დაკავშირებით, ეტყობა, სეპარატისტებმა რაღაც ახალი მოიგონეს. გარდაცვლილების გადმოცემაზე აფხაზებიც უარს ამბობენ. რამდენიმე დღის წინ, 23 თებერვალს, გალში დაიღუპა დედაჩემის ძმა, ოთარ ქობალია. გალში ბებიასა და ბაბუას საფლავებია და საფლავების მოსანახულებლად ჩადიოდა. მოულოდნელად დაიღუპა. აფხაზები ცხედრის გადმოცემაზე უარს გვეუბნებიან, ამბობენ, რომ მეზობლები დაკრძალავენ. არც აქედან უშვებენ ვინმეს.

***– ადრე ასეთი რაღაცები არ ხდებოდა.***

– მართლა არ ხდებოდა. გარდაცვლილის გადმოცემაზე არც ოსები და არც აფხაზები უარს არ ამბობდნენ. ახლა დაინახეს, რომ საქართველოს ხელისუფლება არაფერზე მოსთხოვს მათ პასუხს და ყველაფერს კადრულობენ. ასეთი რამეები აღარ მოხდება, თუ სახელმწიფო სათანადო დონეზე იქნება. არ არის იოლი გასაკეთებელი ის, რასაც რომა შამათავა და ალიკა სამუშია აკეთებდნენ. ისინი დავალების შესასრულებლად რომ გადადიოდნენ, იცოდნენ, რომ უკან დაბრუნების შანსი ძალიან მცირე იყო. ჩავარდნის შემთხვევაში წამებით სიკვდილი ელოდათ. ტყვიით მათ არავინ მოკლავდა, მაგრამ მაინც მიდიოდნენ. სამაგიეროდ, სეპარატისტებმა იცოდნენ, რომ ქართველების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული არ შერჩებოდათ.

# მირიან მირიანაშვილი: „საქართველომ რუსეთის მეგაჩავარდნები თავის სასარგებლოდ უნდა გამოიყენოს“

## რა კავშირი აქვს არგენტინაში აღმოჩენილი კოკაინის პარტიას საქართველოსთან

მარიამ მჭედლიშვილი

**რუსეთსა და აშშ-ს შორის მიმდინარე აშკარა და ფარული პროცესები პირდაპირ გავლენას ახდენს საქართველოზე. ამ საკითხზე „ახალი თაობა" ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, საქართველოს გადარჩენის მოძრაობის ლიდერს, ყოფილ პოლიტდევნილ მირიან მირიანაშვილს.**

***— ბოლო დროს ამბობდით, რომ საერთაშორისო გავლენით შეიცვლება საქართველოს პოლიტიკური დღის წესრიგი და პოლიტიკური ველი გადასხვაფერდება. ამის ნიშნები გამოჩნდა?***

— პერიპეტიები ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ ვითარდება. რუსეთს თითქმის ყველგან მკვეთრად გამოხატული მეგაჩავარდნები აქვს. ეს აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. რუსეთის მიმართ საკმაოდ გამკაცრდა ვაშინგტონი. თუ ადრე აშშ ინფორმირებული იყო კრემლის რომელიმე უმსგავსობაზე და ამაზე თვალს ხუჭავდა, ახლა სხვანაირადაა საქმე. ამის ერთ მაგალითად გამოდგება კოკაინის სკანდალი არგენტინაში, რომელშიც რუსეთის დიპლომატები და უმაღლესი მოხელეები არიან გარეული. მოხდა მისი გასაჯაროება.

***— მხედველობაში გაქვთ არგენტინაში რუსეთის საელჩოს სკოლაში 400 კილოგრამი კოკაინის აღმოჩენა? ამის შესახებ ახლახან გავრცელდა ინფორმაცია.***

— ამ ანტინარკოტიკული ოპერაციით მოხდა რუსეთის რამდენიმე მოქალაქის, მათ შორის, დიპლომატის მხილება. ესაა მოსკოვის უდიდესი რეპუტაციული მარცხი. რუსეთში კოკაინის წინააღმდეგ მიმართულ ამ ოპერაციას ვერ უარყოფენ, მაგრამ რუსები ყველაფერს ვერ აღიარებენ. მათთვის სირცხვილია იმის დადასტურება, რომ კოკაინის ჩასატანად 2017 წელს არგენტინაში პუტინის ახალი თვითმფრინავით ჩაფრინდა თავად ნიკოლაი პატრუშევი, რომელიც ამჟამად რუსეთის



ფედერაციის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანია, რამდენიმე წლის წინ კი ფსბ-ს დირექტორი იყო.

ამერიკელებმა კოკაინის არგენტინული სკანდალის შესახებ თავიდანვე იცოდნენ, თუმცა მათი ძალისხმევით ეს ინფორმაცია უკანასკნელ ხანს გახმიანდა. რუსეთზე, მის ელიტაზე ვაშინგტონს სხვა კომპრომატიც ბევრი აქვს და ამით რუსეთს დააშანტაჟებს. ეს საუკეთესო საშუალებაა რუსეთის შესაკავებლად. კოკაინის სკანდალი საქართველოს პირდაპირ უკავშირდება.

***— როგორ?***

— ამ საქმეზე ორი პირი არგენტინაში დააკავეს. ერთი მათგანი აღმოჩნდა ქველმოქმედი „მართლმადიდებელ მეცენატთა კლუბიდან“. ეს ორგანიზაცია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სახელს ეფარება, სინამდვილეში კი ფსბ-ს დანაყოფს წარმოადგენს. იგივე ორგანიზაცია ნარკოტიკების ტრაფიკით იყო დაკავებული საქართველოში 2006 წლიდან 2010 წლის ჩათვლით. გადაზიდვების მარშრუტი მოიცავდა ფოთს, ბათუმსა და ცხინვალს. ამ კლუბის წევრები არიან ქართველებიც. ესენი არიან არა მარტო რუსეთში მცხოვრები შეძლებული ქართველები, არამედ, აქაური ბიზნესმენებიც. რუსეთის სპეცსამსახურებმა მოიზიდეს საქმიანი ადამიანები სხვა მართლმადიდებელი ქვეყნებიდან.

***— შესაძლოა, რომელიმე მეცენატმა ამ ორგანიზაციიდან არც იცოდეს, რომ ეს „კლუბი“ ნარკოტიკების ბრუნვაშია ჩათრეული?***

— ასეთი გულუბრყვილო არავინ იქნება. ეს მრავალფუნქციური ორგანიზაციაა, რომელიც, ბუნებრივია, მხოლოდ ნარკოტიკების მიმოქცევას არ ახორციელებს. იმ წლებში, რომლებიც დავასახელე, ქართველი პოლიტიკური ელიტის ნაწილი კოკაინზე შეჯდა. ზოგიერთი დღემდე კოკაინდამოკიდებულია.

***— რუსეთის „მეგაჩავარდნებს“ დავუბრუნდეთ. რუსეთს საქართველოსთვის ნაკლებად ეცლება?***

— რუსეთი, აგრესიის გარდა, საქართველოს სხვა მხრიდანაც უტევს. ეს საინფორმაციო თავდასხმებია. ამ თვალსაზრისით რუსეთი ჯერ გაჩერებულია.

***— დროებით?***

— მთავარია, რომ საქართველოში კრემლს გეგმები აერია. ადრეც ვთქვი, რომ ფსბ-ს შევიწროების შემდეგ საქართველოს პოლიტიკური სპექტრის კურირება დაევალა პირადად საგარეო მინისტრ სერგეი ლავროვს. ლავროვი ამერიკელებმა „კრემლის სიაშიც“ შეიყვანეს. არგენტინული კოკაინის სკანდალის საქმის სააშკარაოზე გამოტანა ნიშნავს რუსეთის პირველი დიპლომატის დისკრედიტაციას. სახელგატეხილი ლავროვი ველარ შეძლებს პოლიტიკური პარტიებისა და რუსეთის აგენტების მართვას. ამიტომ, ფსევდოდასავლურ პარტიებსაც კარგი არაფერი დაეყრებათ.

„ევროპულ საქართველოს“, რომელიც დასავლეთში ლავროვი-ზახაროვას ორგანიზაციის სახელითაა ცნობილი, პერსპექტივა არ გააჩნია. საქართველოს დაუდგა ხელსაყრელი მომენტი, რომელიც მეოთხედი საუკუნეა, არ ჰქონია. საქართველო ისტორიულ წარსულში ყოველთვის სარგებლობდა მტრის დასუსტებით.

***— რუსეთს აშშ წინა წლებში ამგვარად არ ებრძოდა და ასეთი შანსი არ იყო?***

— რასაკვირველია. დღეს რუსეთის სპეცოპერაციების წინააღმდეგ საპასუხო ოპერაციებს ატარებენ ამერიკელები. ეს რომ არა, პოროშენკო რუსეთის აგენტ სააკაშვილსაც ვერ განდევნიდა უკრაინიდან. დასავლეთმა სააკაშვილი ჩამოწერა და განდევნა პოლიტიკური სივრციდან.

***— რუსეთს საქართველოში თავისი ინტერესების ბევრი გამტარებელი ეყოლება.***

— რუსეთის ინტერესების გამტარებლები პოლიტიკურ პარტიებშიც არიან, ბიზნესმენებშიც და სახელმწიფო უწყებებშიც. ისინი რუსეთის დავალებით ანტიამერიკულ განწყობას აღვივებენ. თუ ადრე ამერიკული მხარე ამაზე არ რეაგირებდა, ასე აღარ იქნება. პოლიტიკოსები და ჩინოსნები ველარ მოატყუებენ ხალხს კოაბიტაციის თემით.

### „მალე ამერიკულ სანქციებში მოხვდებიან ის ქართველი პოლიტიკოსები, ბიზნესმენები და მოხელეები, რომლებიც ანტიამერიკულ მოქმედებებში არიან შემჩნეული“

***— კერძოდ?***

— სამართლიანობა რომ არ აღედგინათ და სააკაშვილის რეჟიმის მიერ ნაძარცვი პატრონებისთვის არ დაებრუნებინათ, მოიგონეს კოაბიტაცია. საზოგადოებას განემარტა, რომ ეს დასავლეთის, აშშ-ის მოთხოვნა იყო. სინამდვილეში, ეს ხრიკი პუტინის თანაშემწე სურკოვის მოფიქრებულია. უახლოეს მომავალში ამერიკა გამოეხმაურება ანტიამერიკულ ვირუსებს, ნაბიჯებს და მიიღებს ზომებს დამნაშავეების წინააღმდეგ. ეს პოლიტიკურ წვრილფეხობასაც ეხება, ხელისუფლებასაც, მსხვილ ოპოზიციასაც და ჟურნალისტებსაც.

***— მათ წინააღმდეგ შეზღუდვები გატარდება?***

— ეს მოსალოდნელია. მალე მათ წინააღმდეგაც ამუშავდება შეზღუდვები. უახლოეს სამ კვირაში განისაზღვრება სანქციები „კრემლის სიაში“ შეყვანილი რუსეთის მოქალაქეების მიმართ. სანქციებს, დიდი ალბათობით, ვერ გაექცევიან ასევე „ეთნიკური ელიტები“, რომლებიც კრემლთან ურთიერთობენ. ასე რომ, წინ დიდი ცვლილებები გველის.

# „ოთხოზორიასა და ტატუნაშვილის მკვლელები აუცილებლად უნდა დაისაჯონ და ამისთვის სხვა მეთოდებიც არსებობს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

დაზვერვის ადგილობრივ ხელმძღვანელობას დაუტოვებია მთელი საიდუმლო არქივი და, როდესაც რუსები გორში შევიდნენ, მაშინ ეს არქივი ხელში ჩაუვარდათ. საუბარია საიდუმლო არქივზე.

მე არ ვიცი, რამდენად უტყუარია ეს ინფორმაცია, მაგრამ აგვისტოს ომის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში, სოჭისა და მახაჩყალის ტერიტორიაზე, საქართველოს დაზვერვის 10-12 თანამშრომელი დააკავეს. ამ წიგნში ერთ-ერთი მზვერავი ღიად არის ნახსენები, რომელიც დაპატიმრებული იყო კიდეც ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთ ქალაქში. აქედან გამომდინარე, ვინაიდან არსებობს მსგავსი ინფორმაცია, უფრო გაათმაგებულად უნდა შეიქმნას დამცავი სისტემები ამ ადამიანების პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველსაყოფად.

***— ოჯახი ცხედრის გადმოცემას ითხოვს და ამ მოთხოვნით მთავარი მაგისტრალიც იყო გადაკეტილი. რატომ არ ხდება გადმოცემა, რა შეიძლება იყოს მიზეზი?***

— ეს ორი გარემოებით შეიძლება აიხსნას: ერთი — ცხედარი ძალიან არის ნაწამები, იმდენად, რომ მისი წარმოდგენა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. საერთაშორისო გარემოებების გათვალისწინებით, ცხადია, რუსეთს ეშინია, საერთაშორისო თანამეგობრობის მორიგი ზეწოლის საფუძველი არ გახდეს ეს ფაქტი, მით უფრო, სანქციების ფონზე და ა.შ. რუსული მხარე ხვდება, რომ ძალიან შეტოპა და ზედმეტი მოუვიდა. მე არ გამოვრიცხავ, რომ ამ ფაქტის გამო რუსი კურატორები შოკშიც კი იყვნენ.

მეორე მიზეზი, რომელიც ასევე სარწმუნოდ მეჩვენება, არის ის, რომ ეს იყო შეგნებული პროვოკაცია, რუსი კურატორების მიერ ინიცირებული პროვოკაცია იმისთვის, რომ ქართული მხარე პროვოკაციაზე წამოეგო. სანამ არ მოხდება ამ პროვოკაციაზე წამოგება, შეიძლება ცხედრის გადმოცემა გააჭიანურონ. ამიტომ ჩვენ გვმართებს მაქსიმალური კონსოლიდირება იმისთვის, რომ ამ პროვოკაციაზე წამოგება არ მოხდეს. თუმცა, აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ოთხოზორიას შემთხვევა არ უნდა განმეორდეს.

***— რას გულისხმობთ?***

— ვგულისხმობ იმას, რომ მკვლელები უნდა დაისაჯონ. აუცილებლად უნდა დაისაჯონ, ყოველმიზეზგარეშე. როგორი ფორმით დაისჯებიან, ჩემთვის, როგორც რიგითი მოქალაქისთვის, უკვე მნიშვნელობა არ აქვს. მე არ მჯერა საერთაშორისო მართლმსაჯულების, რომ ისინი ან ოთხოზორიას მკვლელს დასჯიან, ან ტატუნაშვილისას. მაგრამ მკვლელები ყველა შემთხვევაში უნდა დაისაჯონ.

***— როგორ უნდა დაისაჯონ?***

— უამრავი მეთოდი არსებობს. სხვა მეთოდიც შეიძლება მოიფიქრო, მაგრამ ამისთვის დროა საჭირო. ხაზგასმით ვამბობ: დროა საჭირო! ცხელ გულზე არაფრის გაკეთება არ შეიძლება.

***— რა, მაგალითად? საერთაშორისო ბერკეტის გარდა, რა გაგვაჩნია?***

— სხვა მეთოდებიც არსებობს.

***— ის პოლიტიკა, რომელსაც რუსეთთან დღეს სახელმწიფო ატარებს, რამდენად არის რაციონალური?***

— დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკა სამშვიდობოა. ამ პოლიტიკას ალტერნატივა ნამდვილად არ აქვს, რადგან ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემას ძალისმიერი გზით ვერ გადავწყვეტთ, მაგრამ, მთლად ფუნთუშასავით მოქცევაც არ არის საჭირო.

მეტოქეს ჩვენი თუ არ ეშინია, უნდა ერიდებოდეს მაინც. ამის მეთოდოლოგია არსებობს. ამ მეთოდოლოგიის მცოდნე ხალხი დღევანდელ ხელისუფლებაში ნამდვილად არის, მაგრამ პოლიტიკურ ნებაზე ბევრი რამაა დამოკიდებული. რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ გამოზომილად, გააზრებულად უნდა იმოქმედოს, მაგრამ აუცილებელია, რომ მეტოქეს, სულ მცირე, ჩვენი ერიდებოდეს მაინც, რადგან სახელმწიფოებრივი თავმოყვარეობა მთავარია. სახელმწიფოებრივი თავმოყვარეობის შელახვა თუ ვინმეს გაუვიდა, მერე უკვე სხვებსაც გაუვათ.

# მიკროსაფინანსოებს მოგება 242%-ით შეუმცირდათ




მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს (მ/ო) 333 მლნ-ის საპროცენტო შემოსავლები აქვთ მიღებული (მათ შორის სესხებიდან); 56 მლნ არასაპროცენტოა, მათ შორის 46 მლნ საკომისიოებიდან არის მიღებული და 1.4 მლნ – დივიდენდების სახით.

სებ-ის სტატისტიკით, 72 ორგანიზაციის მთლიანი საპროცენტო ხარჯები 112 მლნ-ს შეადგენს, აქედან 31 მლნ გადახდილია ფიზიკური პირებისთვის, მათგან მოზიდულ რესურსზე; 26 მლნ, კომერციული ბანკებისთვის და 27 მლნ საფინანსო ორგანიზაციებისთვის, მათგან ნასესხებ სახსრებზე. საკუთარ სავალო ფასიან ქაღალდებში მხოლოდ 11 მლნ-ის ხარჯია გაწეული.

სექტორის წმინდა მოგება 44.5 მლნ ლარია (2017) საბანკო სექტორის კონსოლიდირებული მოგების 5%. წინა წელს ეს კოეფიციენტი იყო 22.4%.

მ/ო-ს მოგება წლიურად 3.4-ჯერ აქვს შემცირებული (-242%), 2016 წელს სექტორს 152 მლნ წმინდა მოგება ჰქონდა.

# „ივანიშვილმა საქართველო სახანძრელოდ გადააქცია“

## ბეჟან ნათელაშვილი: „ქართული ოცნების“ გემმა ჩაძირვა დაიწყო“

შორენა მარსაგიშვილი

**რას უკავშირება გახშირებული ხანძრები, ვინ აპირებს ივანიშვილისთვის ზურგის შექცევას? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ლეიბორისტული პარტიის წევრი ბეჟან ნათელაშვილი ესაუბრება.**

***– საქართველოში საეჭვო ხანძრები, როგორც წესი, ზაფხულში ჩნდება ხოლმე. ახლა უკვე ზამთარში დაიწყო ხანძრების სეზონი და 26 თებერვლის ღამეს კიდევ ერთი ბაზრობა დაიწვა.***

– ზამთარში სავაჭრო ობიექტების დაწვა შარშან დაიწყო. ზამთრის ხანძარს შეეწირა ბავშვთა სამყარო. შემდეგ ხანძრების სერია ზაფხულში გაგრძელდა და ზაფხულს დაბრალდა ბორჯომის ხეობის გადაწვა. ამ ხეობის აღსადგენად იტალიელმა ფეხბურთელებმაც კი ჩაატარეს აქ ამხანაგური მატჩი. ასე მოინათლა, თორემ მერე, როგორც თავად ამ ფეხბურთელებმა თქვეს, კალაძის მხარდასაჭერად იყვნენ ჩამოსული. კალაძე კი თბილისის მერად იყრიდა კენჭს. იმ მატჩზე ფული მოგროვდა და მაინტერესებს, სად წავიდა ეს თანხები.

***– წელს აქ საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება და, არ არის გამორიცხული, იგივე ფეხბურთელები ჩამოვიდნენ და ბაზრობა „თერგის“ მოვაჭრეების მხარდასაჭერად გამართონ ამხანაგური მატჩი.***

– ამათგან არაფერია გამორიცხული. საპრეზიდენტო არჩევნების წინ ან ფეხბურთელებს ჩამოიყვანენ, ან ელტონ ჯონს. ნებისმიერ შემთხვევაში ეს ყველაფერი იქნება ფარსი.

ჩვენ დავინახეთ, რომ არანაირი ღონისძიება არ გატარებულა დამწვარი ტყეების აღსადგენად. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ არ დაუპატიმრებიათ დამნაშავეები. არავის დაუდგენია, თუ ვისი მიზეზით გაჩნდა ხანძარი. არ ვიცი, რა ეშველება ამ ქვეყანას. ისეთ რეალობაში ვცხოვრობთ, რომ ხვალ ნებისმიერ ადგილზე შეიძლება გაჩნდეს ხანძარი.

***– ამიტომ დაარქვით საქართველოს სახანძრელო?***



– საქართველო მართლა სახანძრელოდ გადაიქცა, მაგრამ ეს არ არის ჩემ მიერ მოფიქრებული სახელი. ჩვენი ქვეყანა ასე ერთ-ერთმა ფეისბუქმომხმარებელმა მოიხსენია და მეც გავიმეორე.

საზოგადოება თუ ამ ხანძრებს მძაფრი პროტესტით არ შეხვდა, საქართველოს მთლიანად გადაწვავენ. ამის საშველი მხოლოდ ხალხის აქტიურობაშია.

***– აქამდე „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები ხანძრებს შემთხვევითობას უწოდებდნენ. ახლა ისინიც კი ამბობენ, რომ ამდენი ხანძარი საეჭვოა. მათი ვარაუდით, ხანძრების უკან ნაციონალები დგანან და მათი მიზანი უკმაყოფილო ხალხის რაოდენობის გაზრდაა. ამაზე რას ფიქრობთ?***

– ბუნებრივია, ყველას აქვს საკუთარი ვერსიისა თუ მოსაზრების გამოთქმის უფლება. მე ამათი ერთი სიტყვაც არ მჯერა, მაგრამ, თუ მართლა ნაციონალები წვავენ ბაზრობებსა და ტყეებს, მაშინ ის ამიხსნან, რატომ არიან ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები გარეთ. ასეთ რაღაცას თუ რომელიმე პოლიტიკური ძალა გიკეთებს, ეს საბოტაჟია. საბოტაჟი კი უნდა აღმოიფხვრას.

პირადად მე არ მჯერა, რომ ამ ხანძრების უკან ნაციონალები დგანან და არც მეტეოროლოგიური გარემოა რაიმე შუაში. აქ ხელისუფლების წარმომადგენლების პირდაპირი ინტერესები იკვეთება. ხანძრებს სწორედ ეს პირდაპირი ინტერესები აჩენს.

***– ვინმესთვის რამის დაბრალება არ შეიძლება, მაგრამ თვალშისაცემია ის გარემოება, რომ ხანძრები მაშინ ჩნდება, როცა ქვეყანაში სიტუაცია მწვავდება. 26 თებერვალს ცხინვალში მოკლული ტატუნაშვილის ახლობლებმა გადაკეტეს ცენტრალური მაგისტრალი. ამ აქციის დაწყებიდან მოკლე ხანში ცნობილი გახდა, რომ თბილისში ბაზრობა იწვოდა.***

– ეს მართლა ჩვეულებრივ ამბად იქცა. ესენი ხომ ცუდი საქმეების პროფესიონალები არიან. ასეთი ხანძრებით ცდილობენ ორი კურდღლის დაჭერას. ასე მოხდა 26 თებერვალს. ბაზრობის დაწვით ვიღაცის ინტერესი დაკმაყოფილდა და ტერიტორია გასუფთავდა, ამის გარდა, გადაიფარა მძაფრი პროტესტი, რომელიც ტატუნაშვილის ახლობლებმა გამოხატეს.

„ქართულ ოცნებას“ რა უნდა მოსთხოვო, იმის თავიც კი არა აქვთ, რომ მიცვალებული გადმოასვენონ. ამას წინა რეჟიმს ვერ გაუბედავდნენ. ისეთ პოლიტიკას ატარებდა მაშინდელი ხელისუფლება, რომ პუტინს ომი დააწყებინეს. ის სათანადოდ ველარ აკონტროლებდა სამაჩაბლოს და ომით გადაწყვიტა მისი წართმევა. დღეს კი რა ხდება? – პუტინი ყოველდღე ურტყამს თავში ხელს თავის ხელქვეითებს.

***– ხელქვეითებში ვის გულისხმობთ, სეპარატისტებს?***

– „ქართულ ოცნებას“. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება პუტინის ხელქვეითია. იმ ომით, მართალია, ტერიტორიები წაგვართვეს, მაგრამ მის შედეგებს რუსეთი დღემდე მწარედ იმკის. მომავალში კიდევ უფრო მწარედ მოიმკის.

სამაგიეროდ, არანაირი პრობლემა არა აქვს თბილისთან. აქ კრემლის მარიონეტები დასვა და, რასაც პუტინი ითხოვს, ისინი იმას დაუყოვნებლივ უსრულებენ. ეტყობა, ეს მონური მორჩილება აღარ აკმაყოფილებს და ახლა რუსეთის პრეზიდენტი თავის ხელის ბიჭებს ელადავება.

***– ეს ლადაობა რით გამოიხატება?***

– რითი ელადავება და მიცვალებულით. ცხედარსაც კი არ გვიბრუნებენ და ეს ხელისუფლებაც ყლაპავს ამ შეურაცხყოფას. ყლაპავს იმიტომ, რომ მოსკოვის ხელქვეითია.



***– მოდით, ისევ ხანძრებს დავუბრუნდეთ. ამ ხანძრების გაჩენას ნაციონალები ბიძინა ივანიშვილს აბრალებენ. თქვენ გამორიცხავთ, რომ ამას ვიღაცები სწორედ იმიტომ აკეთებენ, რომ ეს მაინც ყოფილ პრემიერს დაბრალდება?***

– ამას კატეგორიულად გამოვრიცხავ. ბიძინა ივანიშვილი ყველაფერს ძალიან კარგად აკონტროლებს. არ მჯერა იმ ზღაპრის, რომ ის პოლიტიკიდან წავიდა. ივანიშვილი ამდენ ქონებას ფლობს და ერთხელ მასთან რატომ არ გაჩნდა ხანძარი? წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, მისთვის ის ტიტა რომ დაეწვათ.

***– ის ტიტა გაუხმა უკვე ბიძინას.***

– სხვა ხეები ხომ აქვს. ის ტიტაც იმიტომ გაუხმა, რომ ზღვაში ჩაუვარდათ. ხემ ვერ გადაიტანა ეს ყველაფერი და გახმა. ვინმეს მიზეზით რომ გამხმარიყო ეს ხე, ნახავდით, რაც მოხდებოდა. ამ ტიტით მან მთელ მსოფლიოს ანახა, რომ მშიერ ქვეყანაში ხეები ზღვაში დაცურავენ და ექსკურსიებს უწყობენ.

აბა ერთი კარფურში გაჩნდეს ხანძარი, თუ 3 წუთში არ ჩააქრონ. ეჭვი არავის გასჩენია, რატომ არ იწვება ივანიშვილის სასახლე ან ჭორვილაში რატომ არსად არ გაჩნდა ხანძარი, რატომ არ კვდება ივანიშვილის რომელიმე ზვიგენი.

***– რა რომელიმე, მხოლოდ ერთი საწყალი ზვიგენი ჰყავს.***

– ერთი ივანიშვილია საწყალი და მეორე – ზვიგენი. ისე, მაგის ხელში ზვიგენიც ცოდოა. ეს ზვიგენი დიდი ხნის წინ მოკვდებოდა, მაგრამ მას ერთი მისია აცოცხლებს – ადრე თუ გვიან გამძვინვარებული ხალხი მიადგება შუშის სასახლეს და ზვიგენი მათ მხარეზე გადავა.

***– წარმომიდგენია, რა მოხდება, ზვიგენი რომ აქციაზე სიტყვით გამოვიდეს და ძირს ბიძინაო, თქვას.***

– ასეც იქნება. ის პატიოსანი ზვიგენი ივანიშვილსა და მის ხელქვეითებს ჩონჩხიანად გადაყლაპავს.

***– პატიოსანი ზვიგენიო, ამბობთ და დარწმუნებული ხართ, რომ ივანიშვილის გაზრდილი ზვიგენი ხალხის მხარეზე გადავა?***

– მერე რა, რომ მისი გაზრდილია. კაცობრიობა უმადურობის არაერთ მაგალითს იცნობს. მოღალატეებს ვერ ვიტან, მაგრამ იმ ხალხს ტაშს დავუკრავ, ვინც ბიძინას უღალატებს. ეს კაცი ქვეყნის მოღალატეა და მას ყველა უნდა განუდგეს. თუ არ განუდგებიან, სახანძრელოდ ხომ აქცია ქვეყანა, მალე ფერფლად გადაგვაქცევს.

რამდენადაც მე მაქვს ინფორმაცია, ახლო მომავალში ბევრი შეაქცევს ზურგს. ამ პროცესს ვერაფერი შეაჩერებს.

***– შეგიძლიათ გვითხრათ, ვინ შეაქცევს ზურგს?***

– მის მიერ ნაყიდი და მართული ოპოზიცია.

***– მართულ ოპოზიციაში ვის მოიაზრებთ?***

– გადახედეთ ოპოზიციონერების განცხადებებს. ისინი, ივანიშვილის გარდა, ყველას ლანძღავენ, რომ დაინახავენ, რომ გემი ჩაძირვას დაიწყებს, გაიქცევიან. გემმა, რომელსაც ბიძინა და „ქართული ოცნება“ ჰქვია, ჩაძირვა უკვე დაიწყო.

***– დარწმუნებული ხართ?***

– სავსებით დარწმუნებული ვარ. ეს გემი შტორმშია მოყოლილი და მეეჭვება, რომ შტორმს გაუძლოს. მოგეხსენებათ, ზღვებსა და ოკეანეებში არის აკრძალვის ნიშნები, რომლის იქით გადასვლა არ შეიძლება. ბიძინა და მისი გემი სწორედ ასეთ ადგილზე შევიდნენ, იქიდან ველარ გამოვლენ.

# შრომის უსაფრთხოების კანონპროექტის ნაკლოვანებები



ქვეყანაში სამუშაო ადგილებზე დაშავებულთა და დაღუპულთა სტატისტიკა შემაშფოთებელია, შესაძლებელია მისი გამომწვევი მიზეზების რამდენიმე არგუმენტი მოვიყვანოთ, თუმცა ერთმნიშვნელოვნად საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატური ზომების მიღება, რაც დაიცავს ქვეყნის უმთავრეს მიზანს – ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მსგავსი მიდგომა არ შეიძლება განხილული იქნეს ბიზნესში სახელმწიფოს ჩარევად, ვინაიდან ქვეყნის ინტერესი ამ შემთხვევაში უნდა იყოს სამუშაო ადგილებზე შრომის პირობების დაცვა, რასაც ასევე პრევენციული ხასიათი ექნება.

აქსიომაა, რომ „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონპროექტის სულისკვეთება სინამდვილეში უნდა იყოს სამუშაო ადგილებზე დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების პრევენცია/შემცირება, შრომის პირობების დაცვა, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, პროექტი არ ითვალისწინებს შრომის უსაფრთხოების სამუშაო სივრცეში საზედამხედველო ორგანოს უპირობო დაშვების მექანიზმს, რაც თითქმის აბსოლუტურად არაეფექტურს ხდის კანონის აღსრულებას, არსებული პრობლემების დროულ გამოვლენას, მათ პრევენციას და უბედური შემთხვევების (მათ შორის ფატალური შედეგით) თავიდან აცილებას, ხოლო კანონპროექტი საერთოდ არ ითვალისწინებს შრომითი პირობების კანონის შესაბამისად შესრულების კონტროლს/მონიტორინგს, ენერგოდისტრიბუციის სფეროში კონტროლს და სხვ.

დღესდღეობით უმთავრესი გამოწვევა და სახელმწიფო ორგანოს სისუსტედ შეიძლება მიჩნეული იქნეს თუნდაც მოქმედი რეგულაციების დაცვა, მაგალითად, დამსაქმებელს არა აქვს სათანადო განცდა შრომის პირობების დარღვევის შემთხვევაში ადეკვატური ღონისძიებების გატარებისა, მხოლოდ დასაქმებულის დასახიჩრების ან გარდაცვალების შემთხვევაში ერთვება საგამოძიებო ორგანო, სამწუხარო რეალობაა ისიც, რომ უბედური შემთხვევის დროს დასაქმებულზე დაბრალების ტენდენცია არსებობს.

ადმინისტრაციული წესით და სხვა კანონმდებლობით, განსაკუთრებით „შრომის კოდექსის“ 35-ე მუხლით უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს უფლება უზრუნველყოფილია, თუმცა, იმის გამო, რომ ინსპექტირების მექანიზმის სუსტი მანდატი სამუშაო ადგილებზე დაშვების კუთხით არ არსებობდა, აღუსრულებელს ტოვებს ამ ნორმას, კვლავ რჩება განცდა, რომ დარღვევის შემთხვევაში პასუხს სათანადოდ არავინ აგებს.

ვფიქრობთ, რომ შრომის უფლებების მატერიალური და ინსტიტუციური მექანიზმებით უზრუნველყოფის საკითხები ვერ იქნება გადაჭრილი, თუ ზედამხედველი ორგანოს წარმომადგენელს არ მიეცა შესაძლებლობა, შეუფერხებლად გამოავლინოს ნაკლოვანებები და რაიმე ფორმით არ უნდა შეფერხდეს მისი საქმიანობის განხორციელება.

პროფკავშირის ინტერესი არ არის ფინანსური ჯარიმის დაკისრება საწარმოსთვის მხოლოდ იმიტომ, რომ ბიუჯეტში თანხა შევიდეს, არამედ ეს მექანიზმი საჭიროა იმისთვის, რომ დაცული იქნეს სანქციის შიშით მაინც შრომის უსაფრთხოების პირობები და მას გააჩნდეს პრევენციული ხასიათი.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ საქართველოს პარლამენტში ახლაც იქნა წარდგენილი შესაბამისი მუხლის კანონპროექტზე ალტერნატიული წინადადება, თუმცა, მისი გათვალისწინება მეორე მოსმენის ფორმატში, სამწუხაროდ, არ მოხდა.

**ამირან ზენაიშვილი**

**საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი შრომით საკითხებში**

# თევდორე მღვდლის ქუჩაზე დამწვარი ბაზრობის შესახებ დამატებითი დეტალები ხდება ცნობილი



– დაზღვეული მეწარმეების ზარალის დარეგულირების პროცესი უკვე დაწყებულია. სავაჭრო ცენტრ „თერგის“ მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობა „ჯიპიაი ჰოლდინგშია“ დაზღვეული.

ამის შესახებ კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგში“ საუბრობენ.

თევდორე მღვდლის ქუჩაზე მდებარე სავაჭრო ცენტრი „თერგი“, რომელიც ძლიერი ხანძრის შედეგად დაზიანდა, „ჯიპიაი ჰოლდინგში“ როგორც ქონების, ისე მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისებითაა დაზღვეული.

კომპანიის განცხადებით, „ჯიპიაი ჰოლდინგის“ მცირე მეწარმეთა დაზღვევის პოლისით სარგებლობდა რამდენიმე სავაჭრო ობიექტი.

– კომპანიაში შემოსულია სამი ობიექტის განაცხადი, რომელთა ქონების საერთო სადაზღვევო ღირებულება 3 მილიონ ლარამდეა, – განმარტავენ „ჯიპიაი ჰოლდინგში“.

მათივე ინფორმაციით, გასულ წელს ბავშვთა სამყაროში მომხდარი ხანძრის შედეგად, „ჯიპიაიმ“ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისათვის, დაიწყო პროექტი, რომელიც ბიზნესის დაზღვევის 50%-იან თანადაფინანსებას გულისხმობდა. სწორედ ამ პროექტის ფარგლებშია დაზღვეული ის რამდენიმე ობიექტი, რომელთა ზარალის დარეგულირებაც უკვე დაწყებულია.

„ჯიპიაი ჰოლდინგის“ ზარალების მართვის განყოფილება საგანგებო რეჟიმში მუშაობს. შემთხვევის ადგილზე უკვე მობილიზებულები არიან კომპანიის წარმომადგენლები, რათა მოხდეს ზარალის დროული შეფასება და დარეგულირება.

როგორც ცნობილია, თევდორე მღვდლის ქუჩაზე ხანძრის შედეგად სიგარეტისა და მეორადი ტანსაცმლის ბაზრობა დაიწვა. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, ხანძრის შედეგად დამწვარია მინიმუმ 3.000 კვადრატული მეტრის ფართობი.

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ბაზრობის მესაკუთრეა შპს „ქალაქის გული“. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას რამდენიმე მესაკუთრე ჰყავს. ყველზე მსხვილი, 45%-იანი წილის მფლობელია „მორ ფანდ ჰოლდინგ ბი.ვი“, ნიდერლანდები. 44.6% ეკუთვნის შპს „თერგს“ და 5-5%-იანი წილის მფლობელები არიან არიე გოლდსტეინი და კორპორაცია კოლხა. არიე გოლდსტეინი ისრაელის მოქალაქეა და საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, კომპანიის ფინანსური დირექტორიცაა.

შპს „ქალაქის გულის“ გენერალური დირექტორი მუხრან ბაგრატიონია. დირექტორატში კი 2 საქართველოს და 2 ისრაელის მოქალაქეა.

# „ბანკებს სასოფლო-სამეურნეო სესხების გაცემის პრობლემა შეექმნებათ“



– ბანკებს სასოფლო-სამეურნეო სესხების გაცემის პრობლემა შეექმნებათ.

ამის შესახებ ბიზნესმენი ლაშა პაპაშვილი უცხოელებზე მიწის მიყიდვის აკრძალვის რეგულაციის გავლენის შეფასებისას აცხადებს.

მისი თქმით, აღნიშნული საკითხი კიდევ ერთხელ დაისვა საქართველოს ბიზნესასოციაციის წევრი კომპანიების ბიზნესომბუდსმენთან შეხვედრისას. ლაშა პაპაშვილი ამბობს, რომ აღნიშნული რეგულაცია სასწრაფოდ შესაცვლელია, რადგან ბანკებს უქმნის პრობლემას როგორც მიწის დასაკუთრების, ისე შემდგომ მისი რეალიზაციის თვალსაზრისით.

– ჩვენმა წევრმა ბანკებმა დააყენეს ეს საკითხი. ორი უმსხვილესი ბანკია, რომლის აქციებიც ლონდონის ბირჟაზეა განთავსებული. უცხოელი დამფუძნებლები ჰყავთ და მათ დასაკუთრების დიდი პრობლემა აქვთ და შემდგომ ამ მიწების რეალიზაციის. შესაბამისად ვერ გასცემენ სასოფლო-სამეურნეო სესხებს და შეზღუდავენ. იმ დროს, როცა ჩვენი ქვეყნისთვის ხერხემალია სოფლის მეურნეობა, ეს პრობლემას ქმნის და გადასაწყვეტია სასწრაფოდ. არის შემთხვევები, როდესაც ისაკუთრებს ბანკი მიწას, რაც, არა მგონია, ხშირი იყოს. თუ ქვეყანას უნდა, რომ არ გასხვისდეს უცხოელზე მიწა, სხვანაირად უნდა დარეგულირდეს – ბანკებს პრობლემა არ შეექმნას და სექტორის დაფინანსებას არ შეექმნას პრობლემა პირველ რიგში, – აცხადებს ბიზნესმენი ლაშა პაპაშვილი.

# ბათუმში 54-სართულიანი „მარიოტი“ შენდება



„მარიოტის“ მერვე სასტუმროს საქართველოში „ალიანს ჯგუფი“ აშენებს. როგორც კომპანიის გენერალური დირექტორი და თანადამფუძნებელი აკაკი სონღულია Property Georgia-სთან საუბარში აცხადებს, სასტუმრო „მარიოტი“ „ალიანს ფრივილიჯის“ 54-სართულიანი ცათამბჯენის პირველ 12 სართულს დაიკავებს, ზედა სართულებზე კი ექსკლუზიური აპარტამენტები განთავსდება.

მულტიფუნქციური კომპლექსი „ალიანს ფრივილიჯი“, „ალიანს ჯგუფისთვის“ დამახასიათებელი ექსკლუზიური არქიტექტურით იქნება გამორჩეული, ამბობს სონღულია. წამყვან ქართულ სამშენებლო-დეველოპერულ კომპანია „ალიანს ჯგუფსა“ და სასტუმროების მსოფლიო ლიდერ ქსელ „მარიოტ ინთერნეშენელს“ შორის შესაბამის ხელშეკრულებას ხელი 2018 წლის 8 თებერვალს ციურიხში მოეწერა. „ალიანს ჯგუფისთვის“ ეს „მარიოტ ინთერნეშენელთან“ გაფორმებული მეორე ფრანშიზული შეთანხმებაა.

„მარიოტ ინთერნეშენელთან“ თანამშრომლობას კიდევ უფრო დიდი შემართებით განვაგრძობთ. ჩვენი პირველი ერთობლივი პროექტი „ქორთიარდ მარიოტი“ „ალიანს პალასის“ მულტიფუნქციურ კომპლექსში ძალიან წარმატებული აღმოჩნდა,“ აღნიშნავს „ალიანს ჯგუფის“ გენერალური დირექტორი.

მისი თქმით, „ალიანს პალასში“ აპარტამენტების 95% უკვე გაყიდულია. კომპანია „ალიანს პალასის“ მშენებლობას ბათუმში 2018 წელს ასრულებს, 2019 წლის აპრილში კი მულტიფუნქციურ კომპლექსში სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტი“ გაიხსნება.

„მარიოტისთვის“ რომ საქართველო ბრენდის განვითარების წარმატებული ბაზარია, ამას სასტუმროების წამყვანი საერთაშორისო ქსელის სახელით ქვეყანაში წარმოდგენილი პროექტების ჩამონათვალი ადასტურებს: „თბილისი მარიოტი“, „ქორთიარდ მარიოტი“ თბილისში, „ავტოგრაფ ქოლექშენის“ ქვეშ გაერთიანებული პანორამა თბილისის ფარგლებში მშენებარე ორი სასტუმრო – სოლოლაკის სასტუმრო და სასტუმრო თავისუფლების მოედანზე“ და „პარაგრაფის“ სახელით დამკვიდრებული უმაღლესი სტანდარტის რეზორტის ტიპის „მარიოტი“ შეკვეთილში, ასევე „მოქსი“ თბილისში და სუპერთანამედროვე „ქორთიარდ მარიოტი“ ბათუმში. მსოფლიო მასშტაბით „მარიოტ ინთერნეშენელი“ 6.000-ზე მეტი სასტუმროთია წარმოდგენილი 120-ზე მეტ ქვეყანაში.

„ალიანს ჯგუფის“ გენერალური დირექტორი აცხადებს, რომ ბათუმის ბულვარში ზღვის სანაპიროსთან მდებარე ექსკლუზიური არქიტექტურის მქონე მულტიფუნქციური კომპლექსი „ალიანს ფრივილიჯი“, სადაც საქართველოში რიგით მერვე „მარიოტი“ განთავსდება, წარმატებული პროექტი იქნება როგორც კომპანიისთვის და აპარტამენტების მესაკუთრეებისთვის, ასევე ბათუმისთვის და მთლიანად ქვეყნისთვის. „ჩვენ არ ვაშენებთ მხოლოდ შენობებს, ჩვენ ვაშენებთ ბიზნესს. ეს არის ჩვენი კომპანიის ბიზნესი, ეს არის ინდივიდუალური ინვესტორების – აპარტამენტების მესაკუთრეების ბიზნესი, რომლებიც თავიანთ მფლობელობაში არსებულ ქონებას საერთაშორისო მენეჯმენტ კომპანიის მეშვეობით აქირავებენ და იღებენ მუდმივი შემოსავლის წყაროს, ეს არის ტურიზმის ბიზნესი, ჩვენ ვქმნით ტურისტების გასაჩერებელ პრემიუმკლასის ქონებას, ისინი კი ჩამოდიან უფრო და უფრო მეტნი და ფულს საქართველოში ხარჯავენ, ეს არის ბიზნესი ჩვენი ქვეყნისთვის“, – განმარტავს აკაკი სონღულია.

„ალიანს ფრივილიჯის“ მშენებლობა ბათუმში 2020 წელს დასრულდება. 160-ნომრიანი სასტუმრო „მარიოტი“ ექსკლუზიურ მულტიფუნქციურ კომპლექსში 2021 წელს გაიხსნება. ბათუმის ახალი „მარიოტის“ მმართველი კომპანია ამერიკული „მაქინერი ჰოსფითალითი ინთერნეშენელი“ იქნება. „ალიანს ჯგუფი“ პროექტში 80 მილიონის ინვესტიციას ახორციელებს.

„ალიანს ჯგუფი“ მსოფლიოს უმსხვილეს სასტუმროების ქსელებთან ერთად ოთხ მიმდინარე სამშენებლო პროექტზე მუშაობს: „ალიანს პალასი“ ბათუმში, სადაც სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტი“ იქნება წარმოდგენილი, „ალიანს ფრივილიჯი“ ბათუმში, სადაც სასტუმრო „მარიოტი“ განთავსდება, „ალიანს რეზორტი“ გოდერძის უღელტეხილზე, რომელიც სასტუმრო „რამადას“ წარმოგვიდგენს და „ალიანს ჰაილაინი“ თბილისში „ვინდემ გარდენ ჰოტელთან“ ერთად.

ბოლო 12 წლის განმავლობაში ქართველ სამშენებლო-დეველოპერს პრემიუმ-კლასის მშენებლობებში 200-მილიონიანი ინვესტიცია აქვს განხორციელებული, მიმდინარე ოთხ ინოვაციურ პროექტებში კი „ალიანს ჯგუფი“ ჯამში 210 მილიონს აბანდებს.

# „საპოლიციო გამოსახლების“ ალტერნატიული მექანიზმის შექმნას ვფიქრობთ



საქართველოს ბიზნესასოციაცია ბიზნესომბუდსმენის აპარატთან ერთად ე.წ. საპოლიციო გამოსახლების წესის ალტერნატიული მექანიზმის შექმნას ან ძველი წესის აღდგენას შეეცდება. როგორც BM.GE-სთან ბიზნესასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი ასლანიშვილი აცხადებს, წინა პარლამენტის მხრიდან მიღებული გადაწყვეტილება იყო პოპულისტური, რადგან იპოთეკით დაზარალებულთათვის პრობლემა ისევ პრობლემად დარჩა და ერთადერთი შედეგი, რაც ცვლილებებმა გამოიღო იყო პრობლემების შექმნა უძრავი ქონების ბიზნესში ჩართული ადამიანებისთვის.

– რეალურად იმ ადამიანებს, რომლებიც უძრავი ქონების სექტორში არიან ჩართული და დაკავებული არიან უძრავი ქონების გაქირავებით, შევუქმენით მნიშვნელოვანი პრობლემები. ამ სექტორმა დაიწყო კლება, აღსრულება ამ მიმართულებით არის გაჭიანურებული. ვფიქრობთ, ახალ ბიზნესომბუდსმენთან დავაყენებთ ხელახლა ამ საკითხს და ვიფიქრებთ ეფექტური აღსრულების რაიმე ახალი ფორმის შემოღებაზე, რაც გააადვილებს ამ სექტორის ფუნქციონირებას ან ძველი წესის აღდგენას, რაც, ვფიქრობ, იყო ეფექტური კონკრეტული სექტორის განვითარებისთვის, – აცხადებს ირაკლი ასლანიშვილი.

# რომელ ქვეყნებში მიანიჭებენ ქართული მართვის მოწმობას საერთაშორისო ძალას




ქართული მართვის მოწმობებისთვის საერთაშორისო ძალის მინიჭების საკითხზე შსს ამ ეტაპზე მოლაპარაკებებს სამ ქვეყანასთან აწარმოებს. კერძოდ, უახლოეს პერიოდში ესპანეთში, იტალიასა და უკრაინაში ქართული მართვის მოწმობის მქონე მძღოლებმა, 6-თვიანი ვადის გასვლის შემდეგაც, შესაძლოა, კვლავ ქართული მართვის მოწმობით ისარგებლონ და მათ ადგილობრივი მართვის მოწმობის ასაღებად გამოცდის ჩაბარება აღარ მოუწიოთ.

ქართული მართვის მოწმობების საერთაშორისო მოწმობად აღიარებაზე „ინტერპრესნიუსთან“ ინტერვიუში შს მინისტრის მოადგილე ნათია მეზვრიშვილმა ისაუბრა. როგორც მან აღნიშნა, ასოცირების შეთანხმების მიხედვით, საქართველოს მართვის მოწმობის საერთაშორისო მოწმობად აღიარების კუთხით ვადა 2018 წლის სექტემბრამდე აქვს და შსს აღნიშნულ ვადაში ჩაეტევა.

– პროცედურები რამდენიმე ქვეყანასთან დაწყებული გვაქვს. ახლა ძალიან აქტიურ ფაზაში ვართ შესულები. რეალურად, ასოცირების შეთანხმების მიხედვით დრო გვაქვს 2018 წლის სექტემბრამდე. დროისთვის არ გადაგვიცილებია და ამ დროში აუცილებლად ჩავჯდებით.

აქ მიდის ორი მიმართულებით მუშაობა. ერთი – მართვის მოწმობის გამოცდის რეალურ სივრცეში გადმოტანა და ამისთვის უკვე ინფრასტრუქტურის მოწყობა და მარშრუტების იდენტიფიცირება მიმდინარეობს და მეორე მიმართულება არის ქართული მართვის მოწმობების უცხოეთში აღიარება. სამი ქვეყანა გვაქვს ახლა იდენტიფიცირებული, რომლებთანაც მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობს. ესენია: ესპანეთი, იტალია და უკრაინა, – განაცხადა მეზვრიშვილმა.

დღეს არსებული რეგულაციებით, ქართული მართვის მოწმობით სარგებლობა უცხო ქვეყნებში 6 თვის განმავლობაშია შესაძლებელი, რის შემდეგაც მძღოლი ვალდებულია, კონკრეტული ქვეყნის მართვის მოწმობა აიღოს, რისთვისაც იქ გამოცდა უნდა ჩააბაროს.

# „ფოთის ნავთობგადამამუშავებლის“ მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება დაიწყო



„საქართველოს ბანკის“ მოთხოვნით შპს „ფოთის ნავთობგადამამუშავებლის“ წინააღმდეგ გადახდისუუნარობს საქმის წარმოება დაიწყო. გადაწყვეტილება ამის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიღო. მოსამართლის გადაწყვეტილებით, მეურვედ აღსრულების ეროვნული ბიურო დაინიშნა, კომპანიას კი აეკრძალა მეურვისა და სასამართლოს თანხმობის გარეშე ნებისმიერი სახის გარიგების დადება.

უნდა აღინიშნოს, რომ გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისა და კომპანიის გაკოტრების მოთხოვნით ჯერ კიდევ 8 იანვარს სასამართლოს მფლობელმა და დირექტორმა მალხაზ ალბორაშვილმა თავად მიმართა, თუმცა მაშინ სასამართლომ განუმარტა, რომ კომპანია გაკოტრებულად რეგისტრაციის გაუქმების გზით გამოცხადდებოდა, თუ 1 თვის ვადაში კრედიტორი არ შეიტანდა ანალოგიურ მოთხოვნას. ასეთი მოთხოვნით კი სასამართლოს ორ კვირაში „საქართველოს ბანკმა“ მიმართა.

კომპანიის დავალიანება „საქართველოს ბანკის“ მიმართ მიმდინარე წლის 4 იანვრის მდგომარეობით 19.587.936,3 6 აშშ დოლარს შეადგენს, რაც 50.636.774.26 ლარია.

# ვინ არიან ბაგრატიონები, რომლებსაც დამწვარი ბაზრობა „თერგი“ ეკუთვნით

## რა კავშირი აქვთ ბაგრატიონებს ინფრასტრუქტურის მინისტრ ზურაბ ალავიძესთან







დაიწვა თუ დაწვეს? – სავაჭრო ცენტრ „თერგში“ 26 თებერვალს ღამით გაჩენილ ხანძართან დაკავშირებით ეს იქნება მთავარი კითხვა მანამ, სანამ ბურუსით მოცულ შემთხვევას სამართალდამცავები ობიექტურად არ გამოიძიებენ, რისიც სავაჭრო ცენტრში დასაქმებულებს არ სჯერათ.

„ნიუპოსტი“ დამწვარი ბაზრების სიას აქვეყნებს:

1. დამწვარი „ლილოს“ ბაზრობა – 2012/15/11
2. დამწვარი სავაჭრო ცენტრი „საბა“ – 2013/26/02
3. დამწვარი „ევროპარკი“ – 2013/17/07
4. დამწვარი „ბოშათა“ ბაზრობა – 2014/16/09
5. დამწვარი „ხოფას“ ბაზრობა – 2014/7/12
6. დამწვარი „ელიავას“ ბაზრობა – 2014/27/12
7. დამწვარი „ისნის“ ბაზრობა – 2015/21/01
8. დამწვარი „ელიავას“ ბაზრობა – 2015/4/08
9. დამწვარი „შავი“ ბაზრობა – 2016/2/08
10. დამწვარი ბაზრობა და ბავშვთა სამყარო – 2017/29/01

საგულისხმოა, რომ სავაჭრო ცენტრი ბაზრობების სავალდებულო დაზღვევამდე ორი დღით ადრე დაიწვა.

2018 წლის 1 მარტიდან საქართველოში სავალდებულო ხდება სავაჭრო ცენტრების, ბაზრობების, სასტუმროებისა და ბენზინგასამართი (ასევე, აირგასამართი) სადგურების დაზღვევა.

მთავრობის მიერ 2017 წლის 28 დეკემბერს მიღებული დადგენილებით, ობიექტების მფლობელი ვალდებულია, დააზღვიოს მის საკუთრებაში არსებული ქონება, ბაზრობების შემთხვევაში კი მოვაჭრეთა სიცოცხლე და ქონება.

ამასთან, სავაჭრო ცენტრ „თერგში“ მომუშავეთა ინფორმაციით, ტერიტორიით დაინტერესება კონკრეტულმა პირებმა არაერთხელ გამოთქვეს, თუმცა ტერიტორია არ გასხვისდა.

მოვაჭრეებმა გააჟღერეს ერთ-ერთი მეწილის გვარი – ბაგრატიონი.

„ნიუპოსტის“ ცნობით, ცაბაძის №8 ში არსებული ბაზრობები – „თერგი“ და „ქალაქის გული“ სამგორის რაიონის ყოფილი გამგებლის და მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის, გიორგი ბაგრატიონის, ოჯახს უკავშირდება.

კერძოდ, „ქალაქის გულის“ გენერალური დირექტორი მისი მამა მუხრან ბაგრატიონია. „ქალაქის გულის“ 44.57%-ის მფლობელი, საჯარო რეესტრის მონაცემებით, შპს „თერგი I“-ია.

თავის მხრივ, „თერგი I“-ის ერთ-ერთი მეწილეა ბაგრატიონების მოგვარე თეონა ბაგრატიონი.

ორივე შპს-ს ხელმძღვანელობაში ერთ-ერთ დირექტორად ფიქსირდება ჯემალ ქადაგიშვილი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ შპს „თერგი I“-ის 64.6%-იანი წილის მფლობელი შპს „თი ელ ჯი“-ა, რომლის 100%-იანი წილს ბექა სურამელი ფლობს.

2012-2014 წლებში შპს. „თი ელ ჯი“-ს კომერციული დირექტორის თანამდებობას სწორედ გიორგი ბაგრატიონი იკავებდა.

❖ ❖ ❖

გუშინ საღამოს პირველი კომენტარი გააკეთა სავაჭრო ობიექტის მესაკუთრემ.

გიორგი ბაგრატიონმა „კურიერთან“ მომხდარის მიზეზებზე ისაუბრა. ის ამბობს, რომ ცეცხლი ორივე სართულზე ერთდროულად გაჩნდა. მისივე ინფორმაციით, გამოძიებას სავაჭრო ცენტრის მფლობელი ამ დრომდე არ დაუკითხავს.

– ჩემი ოჯახის წევრები და მამაჩემი 20 წელზე მეტია ფლობენ ბიზნესს და მამა არის კომპანიის ხელმძღვანელი. მოხდა ეს ცუდი ფაქტი და კომპანია ეცდება, რომ როგორც დღეს უკვე მოქმედებენ და გამოუყვეს ადგილები სხვადასხვა მოვაჭრეებს, რომ დროებით მათ ჰქონდეთ ადგილები, სადაც იმუშავებენ, ვიდრე ეს კომპანია განახორციელებს იმ სამუშაოებს, რომ დაუბრუნდეს პირველად სახეს.

დამოკიდებულები არიან საგამოძიებო სამსახურებზე, ექსპერტ კრიმინალისტებზე, როდის მისცემენ უფლებას, იმ სამუშაოების დაწყების, რომ პირველად სახეს დაუბრუნდეს. საგამოძიებო სამსახურები ფლობენ იმ ინფორმაციას, თუ რა მოხდა იმ მომენტში, აქედან გამომდინარე, თავს შევიკავებ კომენტარისგან, დაველოდები შესაბამის სტრუქტურებს, რომ გავიგოთ, რა იყო კონკრეტული მიზეზი და გავიგოთ იმ ადამიანებისგანაც, რომლებიც მორიგეობდნენ იმ ობიექტზე გუშინ ღამე, – განაცხადა გიორგი ბაგრატიონმა.

შპს „ქალაქის გულის“ ადმინისტრაციის განცხადებით, ყველა დაზარალებული მოვაჭრე შეღავათიანი პირობების ფარგლებში, სავაჭრო ადგილებით დაკმაყოფილდება.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შპს „ქალაქის გულის“ ადმინისტრაციიდან აცნობეს.

„2018 წლის 27 თებერვალს, შპს „ქალაქის გულის“ საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაში ხანძარი გაჩნდა, რომლის შედეგადაც, კომპანია და აღნიშნულ ტერიტორიაზე დასაქმებული მოვაჭრეები დაზარალდნენ. დამწვარია დაახლოებით, 5.000 კვ. მ ფართობი. კომპანიის ადმინისტრაცია თითოეულ მოვაჭრეს ინდივიდუალურად ხვდება და მათთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. ყველა დაზარალებული, შეღავათიანი პირობების ფარგლებში, სავაჭრო ადგილებით დაკმაყოფილდება.

ამასთან, სავაჭრო ცენტრის ადმინისტრაცია ძალ-ღონეს არ იშურებს, რათა ხანძრით დაზიანებული შენობა-ნაგებობის აღდგენა უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს და მოვაჭრეებმა მუშაობის გაგრძელება ჩვეულ რეჟიმში შეძლონ“, – ნათქვამია შპს „ქალაქის გულის“ ადმინისტრაციის განცხადებაში.

„ნიუპოსტი“ „შეაჩერე კორუფციის“ წარმომადგენელ ვატო გელაშვილს ესაუბრა, რომელიც სამართალდამცავებს სავაჭრო ცენტრის განგებ გადაწვის ვერსიის ირგვლივ მუშაობისკენ მოუწოდებს.

– ინფრასტრუქტურის მინისტრ ალავიძის დეკლარაციაში ნათლად ჩანს, რომ მუხრან ბაგრატიონი და ინფრასტრუქტურის მინისტრი ბიზნესპარტნიორები არიან. ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის პერიოდიდან, მუხრან ბაგრატიონი ასოცირდებოდა ბაზრის მიმდებარე ტერიტორიებთან. დღეს ვიზე რა ქონება აქვს გადაფორმებული, ეს ნამდვილად არ ვიცი, იქ არის რამდენიმე უცხოური კომპანია. თავად ბატონი მუხრანი კი რამდენიმე შპს-ს დირექტორის პოსტს დღემდე იკავებს.

ბაგრატიონებს მოქმედ ხელისუფლებასთან კავშირი ნამდვილად აქვთ, მაგალითად, ინფრასტრუქტურის მოქმედ მინისტრთან. შპს „ქარავან თბილისის“ დირექტორი მუხრან ბაგრატიონია, ხოლო კომპანიის 20%-იანი წილის მფლობელი სწორედ ინფრასტრუქტურის მინისტრი ზურაბ ალავიძე გახლავთ.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „კარფურის“ გაფართოება ბიძინა ივანიშვილის ინტერესია და ჩემ მიერ ნახსენები ადამიანები სამშენებლო კომპანიას ფლობენ, კითხვები არსებობს... ხეები, მარტო მას (ბიძინა ივანიშვილს) რომ უნდა, ვიცით, სავაჭრო ცენტრებსაც მაგიტომ აკეთებს, რომ კლიენტის დაკარგვა არ უნდა.

ასევე საეჭვოა ის ფაქტიც, რომ სავაჭრო ცენტრი ბაზრობების სავალდებულო დაზღვევამდე ორი დღით ადრე დაიწვა. ეჭვი მაქვს, რომ იმ ადგილზე აშენდება კორპუსები, ამის გამოცდილება ალავიძეს და ბაგრატიონს ნამდვილად აქვთ... – აღნიშნა გელაშვილმა.

მისი თქმით, გამოძიება „თერგში“ გაჩენილი ხანძრის გამომწვევი მიზეზების დადგენისას უფრო ღრმად უნდა დაინტერესდეს.

# კორცხელის ინციდენტში ბრალდებულები და მათი ადვოკატი ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ დააჯარიმა



კორცხელის ინციდენტში ბრალდებულები და მათი ადვოკატი ზურაბ ბელთაძე ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ დააჯარიმა. მოსამართლის გადაწყვეტილებით, თითოეულ მათგანს 300-300 ლარის გადახდა დაეკისრა. მოსამართლე შოთა ბიჭიამ აღნიშნული გადაწყვეტილება გასული წლის 28 დეკემბერს ჩანიშნულ სასამართლო პროცესზე მათი გამოუცხადებლობის გამო მიიღო. პროცესზე გამოუცხადებლობის მიზეზად ადვოკატმა სხვა სასამართლო პროცესები დაასახელა, თუმცა აღნიშნა, რომ ამის შესახებ მას სასამართლო წინასწარ არ გაუფრთხილებია. შედეგად, მოსამართლემ მისი განმარტება საპატიოდ არ ჩათვალა.

– ვერ მოვისმინე სათანადო განმარტებები, პროცესზე არ გამოცხადების შესახებ. სასამართლო ვერ ჩათვლის საპატიოდ იმ მიზეზებს, რაც აქ დაასახელეს. როგორც ადვოკატი, ასევე არცერთი ბრალდებული არ გამოცხადებულა, – აღნიშნა პროცესზე შოთა ბიჭიამ.

2016 წლის 22 მაისს შუალედურ არჩევნებში კორცხელის საარჩევნო უბანთან სპორტსმენები და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. დაზიანებები მიიღო რამდენიმე მათგანმა, მათ შორის გიგა ბოკერიამ, ნიკა მელიამ, თენგიზ გუნავამ.

# ბრალდებულ ბექა კირვალიძის დედა: „დავით როსტომაშვილმა ძალიან კარგად იცის, რომ ყაჩაღობა არ მომხდარა“



თბილისის საქალაქო სასამართლოში მსახიობ დავით როსტომაშვილზე თავდასხმის საქმეზე პროცესი დახურულ კარს მიღმა გაიმართა. სხდომა ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევით გაგრძელდება.

როგორც სხდომის დაწყებამდე ერთ-ერთი ბრალდებულის ბექა კირვალიძის დედამ ლია ბეჟაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, მისმა შვილმა ბექა კირვალიძემ შიმშილობა დაიწყო და ამ დროისთვის სამარტოო საკანშია გადაყვანილი.

დედის განმარტებით, მისი შვილი უკვე მეშვიდე დღეა შიმშილობს და ითხოვს, რომ ამ საქმეზე ყაჩაღობის მუხლი მოიხსნას. დედის თქმით, მის შვილს და არც სხვა ბრალდებულ პირებს, რომლებიც როსტომაშვილის ცემის ფაქტზე არიან დაკავებულები, ყაჩაღობა არ ჩაუდენიათ.

– ჩემმა შვილმა მშრალი შიმშილობა დაიწყო იმისთვის, რომ დაამტკიცოს თავისი სიმართლე და ამ ბიჭების უდანაშაულობა. ეს თავად როსტომაშვილმაც ძალიან კარგად იცის, რომ მოხდა მხოლოდ ცემა და არა ყაჩაღობა. ასევე მან მიმართა არასამთავრობო ორგანიზაციებს, პროკურატურას, სახალხო დამცველს, რომ გამოიკვლიონ ეს საკითხი და მათი უდანაშაულობა დამტკიცდეს, – განაცხადა ლია ბეჟაშვილმა.

დედის ინფორმაციით, შიმშილობის დაწყებამდე მის შვილს სიტყვიერი შელაპარაკება არავისთან ჰქონია.

– არანაირ მედპერსონალთან შელაპარაკება არ მომხდარა. უბრალოდ, მე როგორც დედამ დავრეკე, ვინაიდან მაინტერესებდა ჩემი შვილის ჯანმრთელობა, – განაცხადა ბრალდებულის დედამ.

შეგახსენებთ, რომ მსახიობ დავით როსტომაშვილზე თავდასხმის საქმეზე დაკავებულია სამი პირი: ბექა კირვალიძე, ზურაბ ქუთელია და არტემ აგაჯანოვი.

# სამართალდამცველის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობაზე სანქციები მკაცრდება




სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის, აღსრულების პოლიციელის ან სპეციალური პენიტენციარული სამსახურის მოსამსახურის ან მასთან გათანაბრებული პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა ან/და მის მიმართ სხვა შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება გამოიწვევს დაჯარიმებას 1.000 ლარიდან 4.000 ლარამდე ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.

შესაბამისი ცვლილებები ინიცირებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. აღსანიშნავია, რომ აქამდე არსებული ნორმა ითვალისწინებდა 250 ლარიდან 2.000 ლარამდე დაჯარიმებას ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში საუბარია, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებული გამოწვევები სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატურ რეაგირებას მოითხოვს, დღეს არსებული სანქციები კი შემაკავებელ ფუნქციას სათანადოდ ვერ ასრულებს.

– სახელმწიფოსა და საზოგადოების სტაბილური და გამართული ფუნქციონირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სწორედ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების გადაწყვეტილებების ეფექტიან აღსრულებაზე.

მათმა შეუსრულებლობამ შეიძლება საზოგადოების ცხოვრების ნორმალური ფუნქციონირების შეფერხება ან/და მოშლა გამოიწვიოს. პრაქტიკაში ნორმის ეფექტიან აღსრულებას, ხშირ შემთხვევაში, პასუხისმგებლობის ადეკვატური ზომების არარსებობა განაპირობებს. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო მოხელის კანონიერი განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან მის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებისთვის დადგენილი სანქცია, განსაკუთრებით კი მისი მინიმალური ქვედა ზღვარი, შეუსაბამოა ნორმის მიზანთან და სამართალდარღვევის შემაკავებელ ფუნქციას ეფექტიანად ვერ ასრულებს, – ნათქვამია განმარტებით ბარათში.

# სირია: სამშვიდობო შეთანხმება არ სრულდება



მიუხედავად გაეროს რეზოლუციისა, სამშვიდობო შეთანხმება სირიაში არ სრულდება. აღმოსავლეთ გუტაში დამასკოს მახლობლად ასადის არმიამ შეტევაზე გადასვლა სცადა. პარტიზანმა-ისლამისტებმა ასადელები ალყაში მოაქციეს. სამთავრობო ჯარმა დანაკარგები განიცადა და უკან დაიხია.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ სირიაში ესკალაციის ფაქტი აღიარა, თუმცა პასუხისმგებლობა ოპოზიციას დააკისრა.

– აღმოსავლეთ გუტაში გამაგრებულმა ტერორისტულმა ფორმირებებმა სამთავრობო შენაერთებს ცეცხლი გაუხსნეს. მზადდება პროვოკაცია ქიმიური იარაღის გამოყენებით, რაშიც ასადს დაადანაშაულებენ, – ნათქვამია განცხადებაში.

ირანის არმიის გენერალმა ბექერიმ მთელი პასუხისმგებლობა ოპოზიციას დააკისრა და განაცხადა, რომ გაეროს რეზოლუცია აღმოსავლეთ გუტაზე არ ვრცელდება.

– იქ ტერორისტები არიან გამაგრებული, – ამბობს ბექერი.

გაეროს გენერალურმა მდივანმა გუტერეშმა კი მომხდარზე პასუხისმგებლობა მთლიანად ასადს დააკისრა და საომარი მოქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტა მოითხოვა.

– აღმოსავლეთ გუტაში შეტაკებები უნდა შეჩერდეს. ასადი მოვალეა ამას დაემორჩილოს, – თქვა გუტერეშმა.

გაეროს გენერალური მდივნის სიტყვებმა შედეგი გამოიღო. პუტინმა რუსეთის თავდაცვის მინისტრს უბრძანა, რომ სირიაში სამშვიდობო პაუზის შესრულება უზრუნველყოს.

– გაეროს დადგენილება უნდა შესრულდეს, – თქვა პუტინმა.

# რუსმა სეპარატისტმა ირინა მენშიკოვამ საკანში თავი ჩამოიხრჩო



ქალაქ დნეპრის პოლიციის წინასწარი დაკავების საკანში სეპარატისტული მოძრაობის ერთ-ერთმა აქტივისტმა ირინა მენშიკოვამ თავი ჩამოიხრჩო. ის 2014 წელს ე.წ. დნეპროპეტროვსკის რესპუბლიკის გამოცხადების ერთ-ერთი ინიციატორი იყო. ქალაქის მოსახლეობამ სეპარატისტებს მხარი არ დაუჭირა. მენშიკოვასაც ხალხი ჩაქოლვას უპირებდა. ის ამისგან მემარჯვენე სექტორის წევრებმა იხსნეს.

– ქალია, შეეშვით...

ცოტა ხნის წინ ჩაქუჩით შეიარაღებული მენშიკოვა ქალაქის თეატრში დონბასის ომის ვეტერანს თავს დაესხა. ქალი ისტერიულად გაჰკიოდა: „უკრაინელები უნდა ამოწყდნენ!“ მენშიკოვა დააკავეს. ასე აღმოჩნდა ის წინასწარი დაკავების საკანში. დაკითხვაზე მან განაცხადა, რომ, როგორც რუსს, უკრაინელები სძულს, რადგანაც ისინი მოღალატეები არიან.

– პოლტავის ბრძოლისას უკრაინელებმა გვიღალატეს! დიდი სამამულო ომის დროს გერმანელებს პურ-მარილით დახვდნენ! ოკუპირებულ ტერიტორიაზე პოლიციელებად ძირითადად უკრაინელები იყვნენ. ჰიტლერელებიც ბინძურ ს აქმეებს მათი ხელით აკეთებდნენ! 1991 წელს უკრაინის პოზიციამ სსრკ-ის დაშლა განაპირობა. დღესაც ამერიკამ რუსეთს დარტყმა სწორედ უკრაინის მეშვეობით მიაყენა. სტალინი ბრძენი კაცი იყო, გოლოდომორიც ამიტომ მოაწყო. მანამ, სანამ უკრაინელებს არ ამოწყვეტენ, რუსეთი თავს მშვიდად ვერ იგრძნობს!

ანალიზებმა აჩვენა, რომ ქალი ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. როგორც ჩანს, თვითმკვლელობაც ამან განაპირობა.

# დოდონი: „მოლდოვა ევროკავშირის წევრი ვერ გახდება!“



მოლდოვის პრეზიდენტმა, პრორუსული ორიენტაციის დოდონმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ევროკავშირის წევრი უახლოეს მომავალში ვერ გახდება.

– საამისოდ არც მოლდოვაა მზად, არც ევროკავშირი, – თქვა დოდონმა.

პრეზიდენტმა ასევე ფუჭი უწოდა მოლდოველთა ერთი ნაწილის იმედებს რუმინეთთან გაერთიანების თაობაზე. დოდონი მიიჩნევს, რომ მოლდოვა-რუმინეთის გაერთიანება რეგიონის გეოპოლიტიკურ სიტუაციას ძლიერ შეცვლის, რაშიც არც მოლდოვის უშუალო მეზობლები (რუსეთი, უკრაინა), არც უნგრეთი, ბულგარეთი ან გერმანია არ არიან დაინტერესებულნი.

– ამას გარდა, თავად რუმინელებსაც მოლდოვასთან გაერთიანება არ სურთ. დღევანდელი მოლდოვა თავისი პრობლემებით მათ არ სჭირდებათ, – განაცხადა პრეზიდენტმა.

დოდონი თვლის, რომ მოლდოვას ორი გამოსავალი დარჩა: 1. სუვერენიტეტის შენარჩუნება; 2. სუვერენიტეტის შეზღუდვა და ევრაზიულ კავშირში შესვლა.

– პირადად მე მხარს მეორე ვარიანტს ვუჭერ. რაო, სიღატაკეში ვიცხოვროთ და ვიყვიროთ, თავისუფლები ვართ?! – ამბობს დოდონი.

მოლდოვის პრემიერმა პავლე ფილიპმა პრეზიდენტის გამოსვლას არასრულფასოვანი კაცის ბოდვა უწოდა. ფილიპის აზრით, სუვერენიტეტი უმაღლესი ფასეულობაა და ერი, რომელიც დამოუკიდებლობას დათმობს, არსებობასაც შეწყვეტს.

– დოდონები დამარცხებული ადამიანის ფსიქოლოგიაზე აღზევდნენ. დროა, ამ ფსიქოლოგიისგან გავთავისუფლდეთ, – განაცხადა ფილიპმა.

# ტრამპი: „რუსეთი ჩრდილოეთ კორეას საქონელს აწვდის“



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ რუსეთი არღვევს საერთაშორისო საზოგადოების მიერ ჩრდილოეთ კორეაზე დაწესებულ სანქციებს.

– ჩრდილეთ კორეაში საქონელი კვლავაც შედის. ყველაზე მეტ საქონელს კიმ ჩენ ინის რეჟიმს რუსები აწვდიან, – განაცხადა ამერიკის პრეზიდენტმა.

ტრამპმა ჩრდილოეთ კორეასთან მოლაპარაკება შესაძლებლად ჩათვალა, ოღონდ ერთი პირობით: ფხენიანმა კუნთების თამაშს უნდა თავი დაანებოს და ვაშინგტონთან ულტიმატუმების ენით არ ილაპარაკოს.

– კუნთების თამაში, ულტიმატუმები და მოლაპარაკება ერთმანეთის გამომრიცხავი ცნებებია, – ამბობს ტრამპი.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა სარა სანდერსმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეა თავის ბირთვულ ამბიციებზე უარს არ აცხადებს. შესაბამისად, ზეწოლის შესუსტებაც გამორიცხულია.

– ჩრდილოეთ კორეაზე ზეწოლა უნდა გაგრძელდეს! – თქვა სანდერსმა.

# პატიმრებმა მეციხოვნე სიკვდილისგან იხსნეს

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ უეტფორდის ციხის ყოფილმა ზედამხედველმა მადლობა გადაუხადა პატიმრებს, რომლებიც მას ინფარქტის დროს დაეხმარნენ.

გერი გრიმმა გონება იმ დროს დაკარგა, როდესაც 2016 წლის ივნისში საოლქო სასამართლოს შენობაში საკანს იცავდა. პატიმრებმა შენიშნეს, რომ ზედამხედველი ცუდად გახდა. მათ კედლებზე მუშტები დაუშინეს და ყვირილი მორთეს, თუმცა ისინი გამოხმაურებას არ დაელოდნენ, საკნიდან გამოაღწიეს და შერიფის თანამშრომლებს აცნობეს მომხდარის შესახებ, მათ კი თავის მხრივ სასწრაფო დახმარება გამოიძახეს.

გრიმმა პატიმრებისთვის, რომლებმაც ის სიკვდილს გადაარჩინეს, მადლობის პირადად გადახდა ვერ მოასწრო, ვინაიდან იმ დროისთვის, როდესაც ის საავადმყოფოდან გამოვიდა, ისინი უკვე სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებებში იყვნენ გადაყვანილნი. ორწლინახევრის შემდეგ ყოფილმა ზედამხედველმა ამ შემთხვევის თაობაზე ტელევიზიაში ისაუბრა, ისარგებლა შემთხვევით და მისი საშუალებით მადლობა გადაუხადა თავის გადამრჩენებს.

– მათ რომ ჩემთვის ცუდი სდომოდათ, უბრალოდ საკმარისი იქნებოდა მსხდარიყვნენ და არაფერი მოემოქმედებინათ, – ამტკიცებს გრიმი. მისი თქმით, პატიმრებს შეეძლოთ ის მოეკლათ, ან მძევლად აეყვანათ და გაქცეულიყვნენ, მაგრამ ამის ნაცვლად, ისინი, უბრალოდ, ადამიანურად მოიქცნენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# საფრანგეთში ძლიერ ყინვას 3 ადამიანი ემსხვერპლა

საფრანგეთში ძლიერ ყინვას სულ მცირე 3 ადამიანი ემსხვერპლა.

ანტიციკლონი, რომელსაც მედიაში „მოსკოვი-პარიზის“ ფენომენი უწოდეს, საფრანგეთის ტერიტორიაზე გასული კვირის ბოლოს გაჩნდა. 68 დეპარტამენტში უსახლკაროებისთვის 5,3 ათას ადამიანზე გათვლილი თავშესაფარი გამოიყო.

პარასკევს 62 წლის უსახლკარო იველინის დეპარტამენტში, ქოხში გაიყინა. კვირას დრომის დეპარტამენტში ყინვას 35 წლის უსახლკარო ემსხვერპლა. კიდევ ერთი, 53 წლის ადამიანის ცხედარი სავოიას დეპარტამენტში 26 თებერვალს საღამოს აღმოაჩინეს.

# აფეთქება ლესტერში



ინგლისის ქალაქ ლესტერის ერთ--ერთ მაღაზიაში აფეთქება მოხდა. შედეგად 5 ადამიანი დაიღუპა, ოთხი დაშავდა.

აფეთქების მიზეზები ჯერჯერობით უცნობია, თუმცა პოლიცია ტერაქტის ვერსიას ეჭვით უყურებს. მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

# თურქეთი ჩეხეთისგან ქურთების ლიდერის გადაცემას მოითხოვს



პრაღაში თურქეთის მოთხოვნით ქურთების ლიდერი სელიმ მუსლიმი დააკავეს. ოფიციალური ანკარა მას ტერორიზმსა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფაში სდებს ბრალს.

– ჩვენ მუსლიმის გადმოცემას მოვითხოვთ, – განაცხადა თურქეთის პრემიერმა ბექირ ბოზდაგმა.

შედგება სასამართლო, რომელიც მუსლიმის თურქეთისადმი გადაცემის საკითხს გაარკვევს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივიუძლურება(იმპოტენცია),პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევადამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართაპრობლემების:კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ლიგამ ფაჩულია არ დასაჯა



გოლდენ სტეიტ უორიორსმა, რომლის ღირსებასაც ზაზა ფაჩულია იცავს, მორიგი მატჩი ნიუ იორკში მოიგო. ოკლენდურმა გუნდმა „მედისონ სკვერ გარდენში“ ნიქსი 125:111 დაამარცხა.

ეს გახლდათ ზედიზედ მესამე შეხვედრა, როცა ფაჩულია მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო. მანამდე გოლდენ სტეიტში გამართულ ყველა შეხვედრაში ქართველი ცენტრი სასტარტო გახლდათ. ზაზამ, ისევე როგორც ძირითადმა ცენტრმა, ჯავალ მაკგიმ, მოედანზე 15 წუთი გაატარა. ფაჩულიამ 4-დან 2 ორქულიანი და 4-და 3 საჯარიმო ჩააგდო. ჯამში მას 7 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრა დაუგროვდა. იგივე დროში ოკლენდელთა ახალგამომცხვარმა ძირითადმა ცენტრმა 10 ქულა, 3 მოხსნა, 3 პასი და 1 დაფარება მოაგროვა.

ამასობაში ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ განიხილა ფაჩულიას წინ მატჩში მომხდარი ინციდენტი. შეგახსენებთ, ზაზა ოკლაჰომასთან მატჩში მეტოქის კალათბურთელ რასეკ ვესტბრუკს ფეხზე დაეცა, რასაც მის წინააღმდეგ აგორებული სკანდალური განცხადებები მოჰყვა. როგორც ირკვევა, ნბა ჩვენებურის წინააღმდეგ სანქციებს არ მიმართავს, რადგან, სავარაუდოდ, ფაჩულიამ წონასწორობა დაკარგა, ამის გამო დაეცა ვესტბრუკს და ქართველ კალათბურთელს უდანაშაულოდ მიიჩნევს. ეს უკანასკნელიც თავის საქმეს მშვიდად აკეთებს.

გაიმარჯვა ოკლენდელთა კონკურენტმა ჰიუსტონმაც და ცხრილში სტატუს-კვო შენარჩუნდა. სადღეისოდ, გოლდენ სტეიტი 1 მოგებით ჩამორჩება ლიგის ლიდერ ჰიუსტონს. მორიგ მატჩს გოლდენ სტეიტი ვაშინგტონში ვიზარდსთან გამართავს.

# გენტმა ჩაკვეტაძეს ნომერი და ფასი დაადო

ქართველი ფეხბურთელი, 18 წლის გიორგი ჩაკვეტაძე ამ დროისთვის ბელგიურ გენტში ირჯება. მართალია, ჩვენებურს მოედანზე დიდი დროის გატარება არ უწევს, მაგრამ მის მიმართ ინტერესი ძალიან დიდია.

ერთ-ერთმა ბელგიურმა გამოცემამ ქართველი ფეხბურთელი ბელგიის ჩემპიონატის 28-ე ტურის საუკეთესო ფეხბურთელების ათეულში შეიყვანა.

– გენტის ახალი მარგალიტი. ზედიზედ მეორე მატჩია ჩაკვეტაძის მოედანზე გამოსვლის შემდეგ და გუნდის თამაშში სხვაობა იგრძნობა, – ნათქვამია სტატიაში ქართველი ლეგიონერის შესახებ, რომელმაც გასულ ტურში ბევერენთან მატჩის ბოლო წუთზე საგოლე პასი შეასრულა.

ბელგიურ მედიაში უკვე დაიწერა, რომ 18 წლის ქართველი შემტევის მიმართ ინტერესს ინგლისის პრემიერ ლიგის კლუბები იჩენენ.

ამასობაში კი გენტის ტექნიკურმა დირექტორმა, მიშელ ლუვაგიმ განაცხადა, რომ ზაფხულში კლუბი გიორგი ჩაკვეტაძის გაყიდვას არ აპირებს. ლუვაგის თქმით, ქართველი შემტევი გუნდის მომავალი ათიანი უნდა გახდეს.

**მიშელ ლუვაგი:**

– გვინდა, რომ გუნდი ჩაკვეტაძის გარშემო ავაშენოთ. ის ჩვენი მომავალი ათიანია. მომავალ ზაფხულში, გიორგის სანაცვლოდ 15 მილიონი ევროც რომ შემოგვთავაზონ, მას არ გავყიდით. ჩვენი მიზანი მისი 1 ან 2 წლით შენარჩუნებაა.

შეგახსენებთ, რომ გენტმა ჩაკვეტაძე გასულ ზაფხულს თბილისის დინამოდან 800.000 ევროდ შეიძინა. გიორგიმ ჯერ მხოლოდ 7 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 7-ვეში შეცვლაზე შევიდა. ჩაკვეტაძის ანგარიშზე თითო გოლი და საგოლე პასია.



WAASLAND-BEVEREN 1-2 AA GENT

maandag 26 februari 2018 HLN 31

De bewondering neemt met de week toe. Ploegmaats, coach, bestuur, fans, waarnemers... Niemand is ongevoelig voor het geniale talent van Giorgi Chakvetadze (18), een vernuft koopje van 800.000 euro.

• NIELS POISSONNIER & RUDY NUYENS •

## In de ban van CHAKVETADZE

GEORGISCHE DIAMANT VAN AA GENT IS ANDERMAAL «THE GAME CHANGER»

'The future star' van AA Gent laat zich gelden in een duel met Schryvers.

«Zelfs al krijgen we deze zomer 15 miljoen euro voor Giorgi, we laten hem niet gaan»

MICHEL LOUWAGIE

Abchazië

Nummer 10

DE WITTE WAARSCHUWT

«We mogen ons niet laten meeslepen in euforie»

VERMANT

«Play-off 1 wordt moeilijk»

VOETBAL KORT

Beerschot en Cercle gelijk in generale repetitie

Genk gaat bowlen met fans

# ჭუმბურიძე-შუკაკიძის ცემა-ტყეპის გამო გამოძიება დაიწყო



24 თებერვალს, სუპერთასის მატჩის დასრულების შემდეგ, სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტს, კახა ჭუმბურიძესა და საჩხერის ჩიხურას გენერალურ დირექტორს, ბერიკა შუკაკიძეს შორის მომხდარ ფიზიკურ დაპირისპირებაზე ვაკე-საბურთალოს რაიონულმა პროკურატურამ გამოძიება დაიწყო.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ცემას ან სხვაგვარ ძალადობას, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია. აღნიშნული მუხლი სასჯელის სახედ ითვალისწინებს ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომითი ვადით 12-დან 180 საათამდე ან შინაპატიმრობის ვადით 6 თვიდან 1 წლამდე. თუმცა, შესაძლოა, მუხლი გადაკვალიფიცირდეს, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1 წლამდე ვადით.

შეგახსენებთ, რომ 24 თებერვალს, სუპერთასის დასრულების შემდეგ, კახა ჭუმბურიძემ საჩხერის ჩიხურას გენერალურ დირექტორს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და პროკურატურამ ამ ამბის გათვალისწინებით საქმე აღძრა.

კახა ჭუმბურიძე ტორპედო-ჩიხურას მატჩზე მომხდარ ინციდენტს სოციალური ქსელის საშუალებით გამოეხმაურა.

**კახა ჭუმბურიძე:**

– მსურს, გამოვეხმაურო უსიამოვნო ინციდენტს, რომელიც მოხდა ჩემსა და საფეხბურთო კლუბ საჩხერის ჩიხურას დირექტორს შორის. მე, როგორც საჯარო პირს, მაქვს თმენის ვალდებულება რომელიც ალბათ, უპირველესი უნდა იყოს ყოველთვის და ყველა ვითარებაში, მაგრამ მეორე მხრივ, დამეთანხმებით, ძნელია თავი შეიკავო, როდესაც შეურაცხყოფას აყენებენ (თანაც დაუმსახურებელს) შენს თანამშრომლებს, მეგობრებს, ბილწსიტყვაობენ. რა თქმა უნდა, ამით არ ვამართლებ ჩემს საქციელს და კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ვწუხვარ მომხდარ ფაქტზე. აქვე, მსურს, ხაზი გავუსვა, რომ ხსენებული ვალდებულება აქვს ყველა ოფიციალურ პირს მატჩის მონაწილე თუ მომსახურე პერსონალის მიმართ. დაუშვებელია, ნებისმიერი უპატივცემულობა მსაჯებისა და სხვა ოფიციალური პირებისადმი, რაც ხშირად ზღვარგადასულ ქმედებაში გამოიხატება. მოვუწოდებ კლუბების ხელმძღვანელებს, მწვრთნელებს, ფეხბურთელებს პატივი ვცეთ ერთმანეთს და პირველ რიგში ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებს.

# ბაიერნი ტოპ-ფეხბურთელებს არ ყიდის



მიუნხენის ბაიერნის პოლონელი შემტევის, რობერტ ლევანდოვსკის ახალი აგენტი, პინი ზაჰავი არ გამორიცხავს, რომ მისმა კლიენტმა საკუთარი მომავალი მადრიდის რეალს დაუკავშიროს. მისი თქმით, რობერტ ლევანდოვსკის მომსახურებით არაერთი მსოფლიო გრანდია დაინტერესებული.

**პინი ზაჰავი:**

– კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ რობერტ ლევანდოვსკის ტრანსფერზე თითქმის ყველა დიდი კლუბი აცხადებს პრეტენზიას. გადავა თუ არა ლევანდოვსკი რეალში? – ეს უკვე ჩემი სამუშაოა.

ლევანდოვსკის წასვლის არ სჯერა ბავარიელთა ამჟამინდელ მთავარ მწვრთნელს, დონ იუპ ჰაინკესს. ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვაზე, ხომ არ უკავშირდება პირადი აგენტის ცვლილება მომავალ ტრანსფერს, ბაიერნის თავკაცმა შემდეგი შინაარსის პასუხი გასცა.

– ეს მხოლოდ და მხოლოდ, არსებული სიტუაციის თქვენებური ინტერპრეტაციაა. მე ვერაფერს განსაკუთრებულს ვერ ვხედავ იმაში, რომ ფეხბურთელი აგენტს იცვლის. ჩვენთვის ეს არაფერს ნიშნავს. ბაიერნი არ არის ის კლუბი, რომელიც თავის ტოპ-ფეხბურთელებს ყიდის. ჩვენი სუპერფეხბურთელები გუნდში რჩებიან. ლევანდოვსკის კლუბიდან წასვლა მე ვერ წარმომიდგენია.

# ზიდანს ნეიმარის ტრავმა არ მოსწონს



საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში, მარსელის ოლიმპიკთან მოგებულ შეხვედრაში (3:0) პსჟ-ს ბრაზილიელი შემტევი ნეიმარი დაშავდა და მოედნიდან საკაცით გაიყვანეს.

აქედან გამომდინარე, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის საპასუხო შეხვედრაში, რომელშიც 6 მარტს პარი სენ-ჟერმენი მადრიდის რეალს უმასპინძლებს, ფრანგული გრანდის 222-მილიონიანი ლიდერის, ნეიმარის თამაში კითხვის ნიშნის ქვეშაა.

დეტალური გამოკვლევის შემდეგ, პარიზელთა სამედიცინო შტაბის ოფიციალური განცხადებით, ბრაზილიელს მინიმუმ ერთი კვირა მოუწევს დასვენება.

ექიმები გადაჭრით ვერაფერს ამბობენ, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ნეიმარის 6 მარტამდე გამოჯანმრთელება თითქმის გამორიცხულია.

პსჟ-ს სამედიცინო შტაბის განცხადებას რეალის მთავარი მწვრთნელი ზინედინ ზიდანი გამოეხმაურა.

ზიზუს იმედი აქვს, რომ ნეიმარი გამოჯანმრთელებას მოასწრებს:

– ნეიმარის ტრავმა სულაც არ გამიხარდა. იმედი მაქვს, რომ საპასუხო შეხვედრაში თამაშს შეძლებს.

# დასახელდა ბორჯღალოსანთა შემადგენლობა მოღონიერებულ ესპანეთთან

ბორჯღალოსანთა სამწვრთნელო შტაბმა 3 მარტს ესპანეთთან გასამართი მატჩისთვის გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა. რაზმი 29 მორაგბისგან შედგება, რომელთაგან 13 ბექია, ხოლო 16 მორკინალი.

8 ბექი და 2 მორკინალი დიდი 10-ის კლუბებს წარმოადგენს, თითო-თითო ინგლისის პრემიერშიფიდან, ჩემპიონშიფიდან და პრო 14-ის უელსური კლუბიდანაა, 10 საფრანგეთის ტოპ 14-ში თამაშობს, 2 პრო დე2-ს წარმოადგენს, ერთი ფედერალ1-ის კლუბიდანაა, ხოლო 4 რუსეთის, კრასნოიარსკის გუნდებიდან.

ბელგია-გერმანიასთან გაფართოებულ შემადგენლობაში არ იყო და ახლა გუნდთან ერთადაა შალვა სუთიაშვილი, რომელმაც პრო დე2-ის 23-ე ტურში დაქსს ლელო დაუდო და ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა.

ინგლისთან გამართული ერთობლივი ვარჯიშისას დაშავდა მეორეხაზელი კონსტანტინე მიქაუტაძე, რომელიც 4-5-თვიან რეაბილიტაციას მოითხოვს. ასევე ფეხის ტრავმა გაუმიზეზდა ბორჯღალოსნების კაპიტან მერაბ შარიქაძეს, რომელიც სავარაუდოდ ნოემბერში მწყობრში იქნება.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# შედეგები

**26 თებერვალი**

**ფეხბურთი**

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ლევანტე-ბეტისი ... 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 25 | 20 | 5 | 0 | 68-12 | 65 |
| 2.ატლეტიკო | 25 | 17 | 7 | 1 | 41-11 | 58 |
| 3.რეალი | 25 | 15 | 6 | 4 | 62-27 | 51 |
| 4.ვალენსია | 25 | 15 | 4 | 6 | 49-29 | 49 |
| 5.ვილიარეალი | 25 | 12 | 5 | 8 | 36-29 | 41 |
| 6.სევილია | 25 | 12 | 3 | 10 | 33-40 | 39 |
| 7.ბეტისი | 25 | 11 | 3 | 11 | 43-50 | 36 |
| 8.სელტა | 25 | 10 | 5 | 10 | 43-37 | 35 |
| 9.ეიბარი | 25 | 10 | 5 | 10 | 32-38 | 35 |
| 10.ხირონა | 25 | 9 | 7 | 9 | 35-36 | 34 |
| 11.ხეტაფე | 25 | 8 | 9 | 8 | 29-22 | 33 |
| 12.ბილბაო | 25 | 7 | 10 | 8 | 26-28 | 31 |
| 13.ლეგანესი | 25 | 8 | 6 | 11 | 21-28 | 30 |
| 14.სოსიედადი | 25 | 8 | 5 | 12 | 47-47 | 29 |
| 15.ესპანიოლი | 25 | 6 | 10 | 9 | 22-32 | 28 |
| 16.ალავესი | 25 | 9 | 1 | 15 | 22-37 | 28 |
| 17.ლევანტე | 25 | 3 | 11 | 11 | 21-40 | 20 |
| 18.ლას პალმასი | 25 | 5 | 4 | 16 | 18-52 | 19 |
| 19.დეპორტივო | 25 | 4 | 6 | 15 | 24-53 | 18 |
| 20.მალაგა | 25 | 3 | 4 | 18 | 16-40 | 13 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ტენერიფე-ლუგო ... 3:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

დორტმუნდი-აუგსბურგი ... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 24 | 19 | 3 | 2 | 55-18 | 60 |
| 2.დორტმუნდი | 24 | 11 | 8 | 5 | 49-30 | 41 |
| 3.შალკე | 24 | 11 | 7 | 6 | 38-30 | 40 |
| 4.აინტრახტი | 24 | 11 | 6 | 7 | 32-27 | 39 |
| 5.ლევერკუზენი | 24 | 10 | 8 | 6 | 43-32 | 38 |
| 6.ლაიპციგი | 24 | 11 | 5 | 8 | 37-33 | 38 |
| 7.გლადბახი | 24 | 10 | 4 | 10 | 31-35 | 34 |
| 8.აუგსბურგი | 24 | 8 | 8 | 8 | 33-30 | 32 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 24 | 8 | 8 | 8 | 38-38 | 32 |
| 10.ჰანოვერი | 24 | 8 | 8 | 8 | 32-34 | 32 |
| 11.ჰერტა | 24 | 7 | 10 | 7 | 30-30 | 31 |
| 12.შტუტგარტი | 24 | 9 | 3 | 12 | 20-27 | 30 |
| 13.ფრაიბურგი | 24 | 6 | 11 | 7 | 25-38 | 29 |
| 14.ვერდერი | 24 | 6 | 8 | 10 | 22-28 | 26 |
| 15.ვოლფსბურგი | 24 | 4 | 13 | 7 | 27-31 | 25 |
| 16.მაინცი | 24 | 6 | 6 | 12 | 29-42 | 24 |
| 17.ჰამბურგი | 24 | 4 | 5 | 15 | 18-35 | 17 |
| 18.კიოლნი | 24 | 4 | 5 | 15 | 22-43 | 17 |

**იტალია. სერია ა**

კალიარი-ნაპოლი ... 0:5

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 26 | 22 | 3 | 1 | 60-15 | 69 |
| 2.იუვენტუსი | 25 | 21 | 2 | 2 | 62-15 | 65 |
| 3.ლაციო | 26 | 16 | 4 | 6 | 64-33 | 52 |
| 4.ინტერი | 26 | 14 | 9 | 3 | 42-21 | 51 |
| 5.რომა | 26 | 15 | 5 | 6 | 40-21 | 50 |
| 6.სამპდორია | 26 | 13 | 5 | 8 | 46-34 | 44 |
| 7.მილანი | 26 | 13 | 5 | 8 | 37-30 | 44 |
| 8.ატალანტა | 25 | 10 | 8 | 7 | 37-29 | 38 |
| 9.ტორინო | 26 | 8 | 12 | 6 | 36-32 | 36 |
| 10.ფიორენტინა | 26 | 9 | 8 | 9 | 35-32 | 35 |
| 11.უდინეზე | 26 | 10 | 3 | 13 | 37-38 | 33 |
| 12.ბოლონია | 26 | 10 | 3 | 13 | 33-38 | 33 |
| 13.ჯენოა | 26 | 8 | 6 | 12 | 21-27 | 30 |
| 14.კალიარი | 26 | 7 | 4 | 15 | 23-41 | 25 |
| 15.კიევო | 26 | 6 | 7 | 13 | 23-43 | 25 |
| 16.სასუოლო | 26 | 6 | 5 | 15 | 15-46 | 23 |
| 17.კროტონე | 26 | 5 | 6 | 15 | 23-47 | 21 |
| 18.სპალი | 26 | 4 | 8 | 14 | 26-49 | 20 |
| 19.ვერონა | 26 | 5 | 4 | 17 | 24-51 | 19 |
| 20.ბენევენტო | 26 | 3 | 1 | 22 | 18-60 | 10 |

**იტალია. სერია ბ**

სალერნიტანა-პარმა ... 0:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ნანსი-ლორიანი ... 0:2

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბრაგა-ტონდელა ... 1:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ატრომიტოსი-აეკი ... 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბაშაქშეჰირი-გენჩლერი ... 1:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

პლზენი-იიჰლავა ... 0:1

**დანია. სუპერლიგა**

სონდერიისკე-სილკებორგი ... 0:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# სისხლის ჯგუფებზე ლექცია გოგონას მამის პოვნაში დაეხმარა

კალიფორნიის უნივერსიტეტში ბიოლოგიაში ლექციის დროს სტუდენტმა გოგონამ გამოარკვია, რომ მისი ბიოლოგიური მამა ის არ იყო, ვისაც ასეთად თვლიდა.

19 წლის ანია ჰეტიჩმა ტვიტერში დაწერა, რომ სისხლის ჯგუფების შესახებ ლექციის დროს მისმა თანაკურსელმა ვერაფრით გაიგო, თუ რატომ არ შეესატყვისებოდა მისი სისხლის ჯგუფი მშობლებისას. გოგონამ პროფესორს უთხრა, რომ მამამისს პირველი ჯგუფის სისხლი ჰქონდა, ხოლო დედას მეორე, მაშინ როდესაც თავად მას მესამე.



რამდენიმე დღის შემდეგ ლექტორი დაინტერესდა, გაარკვია თუ არა მან, თუ რაში მდგომარეობდა შეცდომა. გოგონას თქმით, აღმოჩნდა, რომ დედამისმა თავის მეუღლეს მის ნახევარძმასთან უღალატა.

სოციალურ ქსელში ანიამ დაწერა: „ფაქტიურად მას მთელი ცხოვრება ბიძა ზრდიდა და არა მისი მშობელი მამა. დედა ამ ყველაფერს 21 წლის განმავლობაში მალავდა. ახლა კი ისინი ერთმანეთს შორდებიან.

# მილიონერის მიერ დამალული განძის პოვნის მცდელობას ოთხი ადამიანი ემსხვერპლა

ამერიკელმა 87 წლის კოლექციონერმა ფორესტ ფენმა საკუთარ მემუარებში „რბოლის ვნება“ იმაზე ისაუბრა, რომ კლდოვან მთებში, რომლებიც ქალაქ სანტა-ფეს მახლობლად მდებარეობს, ორი მილიონი დოლარის ღირებულების ძვირფასეულობით სავსე სკივრი დამალა. მისი თქმით, უკვე 65 ათასზე მეტმა ადამიანმა სცადა განძის პოვნა, ხოლო ოთხი მის ძებნას შეეწირა კიდეც.



ფენის თქმით, სკივრში ძვირფასეულობას შორის არის ძველი მონეტები, ოქროს თვითნაბადი ნიმუშები, XVII საუკუნის ბეჭედი, ბრილიანტები, საფირები, ლალის თვლები, ზურმუხტები, ჩინური ნეფრიტის ფიგურები, ინდიელთა კოლუმბის ეპოქის სამაჯურები. ვიეტნამის ომის შემდეგ ფენი არქეოლოგიამ გაიტაცა და სანტა-ფეში გალერეა გახსნა. თავის წიგნში მილიონერმა ლექსებში დაშიფრა ცხრა მინიშნება, რომელთა ამოხსნის შემთხვევაში მოხერხდება იმის გაგება, თუ სადაა განძი დამალული. განძეულის მაძიებლებს მიაჩნიათ, რომ ის დამალულია სადღაც მონტანაში, ვაიომინგში, კოლორადოში ან ნიუ-მექსიკოში.

# თეთრი მამაკაცები ლუდისთვის საფრთხეს წარმოადგენენ

Z-ს თაობის (ადამიანები დაბადებულები 1996 წლის შემდეგ) წარმომადგენლები საფუძვლიანად ცვლიან ალკოჰოლის მოხმარების სტრუქტურას, ამ ინფორმაციას ერთ-ერთი სამეცნიერო გამოცემა ავრცელებს.



როგორც ანალიტიკოსებმა გამოარკვიეს, ეს ასაკობრივი ჯგუფი უპირატესობას მაგარ სპირტიან სასმელებს ანიჭებს, მაგალითად, არაყს და ჯინს, ასევე ღვინოს.

Z-ს თაობაში გამონაკლისს წარმოადგენენ თეთრკანიანი მამაკაცები, რომლებიც კვლავინდებურად ლუდს ანიჭებენ უპირატესობას. თუმცა ამასთან მათი წილი დიდი არ არის, აღნიშნეს მკვლევარებმა.

გარდა ამისა, Z-ს თაობაში 27 პროცენტით მეტი ლათინოამერიკელი იქნება, ვიდრე მილენიალებს შორისაა (1981 წლის შემდეგ დაბადებულები). მათ გამო, შესაძლოა გაიზარდოს ტეკილას გაყიდვა. გარდა ამისა, მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ყველა რასის წარმომადგენელი ქალები სულ უფრო ხშირად ყიდულობენ არომატიზირებულ სპირტიან სასმელებს.

# სამფეხა ძაღლმა ქალი თვითმკვლელობისგან გადაარჩინა

ძაღლმა სახელად ნიკმა 51 წლის ქალს მიქაელა ფილდს სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულებაში ხელი შეუშალა.



ფილდი მრავალი წლის მანძილზე ელერსის სინდრომის შედეგებს – დანლოსს, ართრიტს, ტრავმის შემდგომ სტრესულ აშლილობას, კლაუსტროფობიას და აგორაფობიას ებრძოდა. მისი მდგომარეობა უარესდებოდა და ქალმა იგრძნო, რომ ავადმყოფობა მასზე მძლავრობდა. მიქაელას თქმით, ის დივანზე იჯდა და თავის მოკვლისთვის ემზადებოდა, როდესაც მისმა სამფეხა ძაღლმა ნიკმა მას თათით უბიძგა.

– მოულოდნელად ნიკმა მტკივნეულად ჩამარტყა ხელში. ამან შოკში ჩამაგდო, იმიტომ, რომ ადრე მას ასეთი რამ არასოდეს გაუკეთებია, – განაცხადა ფილდმა, – მან პირდაპირ თავიდან ამომიგდო თავის მოკვლაზე ფიქრები. როდესაც თვალებში ჩავხედე, მივხვდი, რომ უბრალოდ მას მარტოს ვერ დავტოვებდი.

როდესაც ქალს პანიკური შეტევები ეწყებოდა, ფსიქოლოგმა ურჩია, ძაღლი აეყვანა, რომელიც მას ბრძოლაში დაეხმარებოდა. მიქაელამ ნიკი ნახევარი წლის წინ შეიკედლა, მას შემდეგ, როგორც კი ძაღლმა ავტოკატასტროფაში ერთი ფეხი დაკარგა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# დასახელდა ბორჯღალოსანთა შემადგენლობა მოლონიერებულ ესპანეთთან

**დასაწყისი მე-9 გვერდზე**

საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ასეთია:

უკანა ხაზი: მერაბ კვირიკაშვილი, სანდრო თოდუა (ორივე ლელო სარასენსი), ბექა წიკლაური (ლოკომოტივი), სოსო მათიაშვილი (კრასნი იარი, რუსეთი), ანზორ სიჭინავა (აკადემია), დავით კაჭარავა (ენისეი, რუსეთი), ლაშა მალაღურაძე (კრასნი იარი, რუსეთი), გიორგი კოშაძე (ხარები), გიორგი კვესელაძე (არმაზი), ლაშა ხმალაძე (ბათუმი), რევაზ ჯინჭველაშვილი (არმაზი), ვასილ ლობჟანიძე (ბრივი, საფრანგეთი), გელა აფრასიძე (მონპელიე, საფრანგეთი);



შერკინება: მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე, საფრანგეთი), ზურაბ ჟვანია (სტად ფრანსე, საფრანგეთი), შალვა მამუკაშვილი (ლოკომოტივი), ბადრი ალხაზაშვილი, ლევან ჩილაჩავა (ორივე ტულონი, საფრანგეთი), ანტონ ფეიქრიშვილი (კარდიფი, უელსი), გიორგი მელიქიძე (სტად ფრანსე), გიორგი ნემსაძე (ბრისტოლი, ინგლისი), შალვა სუთიაშვილი (ანგულემი, საფრანგეთი), ნოდარ ჭეიშვილი (შონბრი, საფრანგეთი), ვიტო კოლელიშვილი (კლერმონი, საფრანგეთი), გიორგი თხილაიშვილი (ბათუმი), ლაშა ლომიძე (ლონდონ აირიში, ინგლისი), ოთარ გიორგაძე (კლერმონი, საფრანგეთი), გიორგი ცუცქირიძე (ორიაკი, საფრანგეთი), მიხეილ გაჩეჩილაძე (ენისეი, რუსეთი).

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ასტროპროგნოზი

## 28 თებერვალი



**ვერძი** – სასიცოცხლო პოტენციალი გაძლიერებულია. არ არის გამორიცხული რომანტიკული შეხვედრა ან ახალი ნაცნობობა. **კურო** – კონფლიქტური სიტუაციები ენერგიას გაცლით. თქვენი ბიუჯეტი მკვეთრად იზრდება. **ტყუპები** – დასვენება დაივიწყეთ. დაგროვილი საქმეების დამთავრებას ყველანაირად უნდა შეეცადოთ. **კირჩხიბი** – სამსახურში სიტუაცია ნორმალურია. ფინანსური საკითხები არ გაწუხებთ. **ლომი** – საქმეს ენერგიულად შეუდექით. ახლობელი სიურპრიზს გიმზადებთ. სასიამოვნო დღეა. **ქალწული** – რომანტიკული შეხვედრა კარგ გუნებაზე დაგაყენებთ. ენერგია სწორი მიმართულებით ხარჯეთ. **სასწორი** – რთული დღეა. საქმიანი შეხვედრა სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს. დაეყრდენით მეგობრის რჩევას. **ღრიანკალი** – მიუხედავად დაბრკოლებისა, საქმეებს აგვარებთ. ინტუიციას მიენდეთ. **მშვილდოსანი** – ფასეულობების გადაფასების დროა. ახალგაცნობილ ადამიანთან ურთიერთობისას სიფრთხილე გამოიჩინეთ. **თხის რქა** – სულიერი სიმტკიცე და თვითგანვითარება დღის დევიზია. კონფლიქტს თავს მარტივად აარიდებთ. **მერწყული** – კეთილისმყოფელი დღეა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად. რისკი გაამართლებს. **თევზები** – დღეს აქტიურობას ერიდეთ. უმჯობესია, ცოტა დაისვენოთ და ენერგია აღიდგინოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ომების მოწინააღმდეგე ადამიანი; 2. დაბალი ხარისხის მურა ქვანახშირი; 3. ქართული მინერალური წყალი; 4. ბრიტანეთის კინოაკადემიის პრიზი; 5. ქართველი თეატრალური რეჟისორი; 11. სახელმწიფო ევროპაში; 12. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 14. მსუბუქი, ფოროვანი სამშენებლო მინერალი; 16. უნივერსიტეტი პარიზში; 17. ქართული ტელეკომპანია; 19. გერმანიის დედაქალაქი; 21. ევროპისა და აზიის კონტინენტების გამყოფი ქედი; 22. მთავარი მოედანი მილანში.

**თარაზულად**: 6. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 7. შენობის სახურავად გამოყენებული, გამომწვარი თიხის ფირფიტა; 8. ხშირი, დაბურული ტყე; 9. ლითონზე შესრულებული გრავიურა; 10. ფინური ელექტროტექნიკური კომპანია; 13. ტერიტორიული ერთეული; 15. მოძრავი კიბე; 18. ძველი გერმანული ტომი; 20. გერმანული მსუბუქი ავტომობილი; 21. დანიელი არქიტექტორი, სიდნეის ოპერის თეატრის პროექტის ავტორი; 23. შტატი აშშ-ში; 24. ჰორიზონტალური სამშენებლო კონსტრუქცია.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. უჯრედი; 2. ცემი; 3. კონტრაქტი; 4. ჰერტა; 5. ცისკარი; 8. ბერია; 9. ბუტლეგერი; 12. მარულა; 14. ჩარექი; 16. უბისა.

**თარაზულად:** 1. უფლისციხე; 6. პოლონეზი; 7. რეზიუმე; 9. ბენტლი; 10. იავა; 11. არომატი; 13. მაჩვი; 15. კაკადუ; 17. ჭიანური; 18. კულუხი; 19. აიაქსი; 20. კარიერი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. დეკადანსი; 2. გორგაძე; 3. ბილბაო; 4. სალდო; 5. ანანდი; 11. ლუგანო; 12. ლაგაზი; 14. დალი; 16. რანჩერო; 17. ოკალეში; 19. რემისია; 21. ჩორთი; 22. დიოდი.

**თარაზულად:** 6. სელადონი; 7. კრახუნა; 8. დრონი; 9. იდილია; 10. ალილო; 13. ასადი; 15. ტრაფალგარი; 18. კობზარი; 20. ჯინი; 21. ჩიზელი; 23. კომპრომისი; 24. შუამთა.

# ნანა ხურითი ნარიყალაზე კლდის ჭრას აპროტესტებს



სოხუმის თეატრის მსახიობი ნანა ხურითი დედაქალაქში კლდეების ჭრას და ნარიყალას მიმდებარე ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ნაშთების განადგურებას აპროტესტებს:

– ალარაფერზე რეაქცია ალარ მაქვს, მაგრამ... კოდალით რომ მიადგნენ და ანგრევდნენ იმ კლდეს, აგერ უკვე ერთი თვეა, თანაც, როგორც გვითხრეს, უკანონოდო! მერიის ზედამხედველობის სამსახურმა რატომ არ გააპროტესტა ერთი თვის წინ... არ იცოდნენ? მით უარესი მათთვის.

კარგი! ჯარიმას გადაიხდიან 1000-2000-3000 ლარს და რა მერე? გამოშიგნეს კლდე და ახლა რა აზრი აქვს... ანუ აცადეს? ვერაფერი გავიგე... არადა, როგორ ვგულშემატკივრობდით ამათ, ეგ ყველამ იცის...

კლდე დაშალეს და სისხლის სამართლის დანაშაულიაო, ერთი თვის შემდეგ ალიარეს, ძლივს შეამჩნიეს... და აზრი? ავტოფარეხის გადახურვის ეშინიათ ზედამხედველობის სამსახურის შიშით და თავზე ჩამოამხეს კლდე და ახლა შეამჩნიეს?

გავგიჟდი რა, თუმცა ალარ მაინტერესებს და მაინც არც ვეშვები. რაც უნდათ, ის უქნიათ! და აკეთებენ კიდეც...

# ოთარ მაღრაძე საავადმყოფოში მოხვდა

თბილისის ბიგ ბენდის მუსიკოსს ოთარ მაღრაძეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა და საავადმყოფოში მოხვდა.



ხელოვანი სიმონ ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკაში წევს. მას საზარდულის თიაქრის ოპერაცია დასჭირდა.

ხეჩინაშვილის საუნივერსიტეტო კლინიკის ქირურგებმა მუსიკოსს დროული სამედიცინო დახმარება გაუწიეს. ოპერაციამ კარგად ჩაიარა და მუსიკოსი ახლა თავს უკეთესად გრძნობს.

# ინდოეთში მსოფლიოში ყველაზე დიდი თავის ტვინის სიმსივნე ამოკვეთეს



ინდოეთის ქალაქ მუმბაიში ქირურგების ჯგუფმა თავის ტვინის სიმსივნის ამოკვეთის ოპერაცია ჩაატარა, რომლის წონამ 1,8 კილოგრამი შეადგინა.

ოპერაცია ექვს საათს გაგრძელდა. ექიმების თქმით, ამოკვეთილი სიმსივნე შეიძლება მსოფლიოში დარეგისტრირებულ ამ სახის სიმსივნეებს შორის ყველაზე დიდად ჩაითვალოს. ზომით ის პაციენტის თავის ზომას აღემატებოდა.

31 წლის სანტალ პალას სიმსივნის განვითარება სამი წლის წინ დაეწყო, მაგრამ აქამდე ვერავინ გარისკა ასეთი რთული ოპერაციის გაკეთება. ავადმყოფობის გამო მამაკაცმა მხედველობა დაკარგა, თუმცა ექიმები თვლიან, რომ მომავალში მას მხედველობა აღუდგება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ანიტა რაჭველიშვილის სადებიუტო ალბომს სონი გამოსცემს






მსოფლიოში ცნობილი ქართველი საოპერო მომღერლის ანიტა რაჭველიშვილის სადებიუტო ალბომს კომპანია სონი გამოსცემს. ალბომის პრეზენტაცია ევროპაში 2 მარტს არის დაგეგმილი.

მეცო-სოპრანო ალბომზე რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა და მასში მეცოს ცნობილი 12 არიაა გაერთიანებული.

**ანიტა რაჭველიშვილი:**

– სადებიუტო ალბომი რამდენიმე წელია მზადდებოდა! გადაწყვეტილების მიღებას დიდი დრო მოვანდომე, რადგან მინდოდა მზად ვყოფილიყავი ასეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯისთვის!

***– რამდენი ნაწარმოები შევა ალბომში?***

– ამ დისკში მეცოს 12 არია შედის, რომელიც ოპერის მსმენელს ძალიან უყვარს და ყოველთვის უსმენს! 12 ცნობილ არიაში შედის ქართული არიაც, ეს არის დიმიტრი არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე" და ამ ოპერიდან „თამარ მეფის კავატინა". განსაკუთრებით მეამაყება და მაბედნიერებს ის ფაქტი, რომ ქართული მუსიკა ამ დისკის ნაწილია.

***– სად შედგება მისი პრემიერა?***

– ეს დისკი ევროპაში გამოვა და მოუთმენლად ველი 2 მარტს. ევროპის მერე უკვე მთელს მსოფლიოში გაიყიდება!

***– ქართველ მსმენელს თუ მიეცემა მისი შეძენის საშუალება?***

– საქართველოში მსმენელს შეუძლია ჩამოტვირთოს დისკი აითუნსის, სპოთიფაის, საუნდქლაუდის და სხვადასხვა აპლიკაციების ან ვებ გვერდების საშუალებით. დისკის შეკვეთა ასევე შესაძლებელია ამაზონზე.

სამწუხაროდ საქართველოში არ არის სონის წარმომადგენლობა და ამიტომ აქ ვერ გაიყიდება. თუმცა ვაპირებ რალაც რაოდენობა ჩამოვიტანო და ვისაც სურვილი ექნება, საჩუქრად გადავცე!

***– სად იმღერებთ უახლოეს მომავალში?***

– უახლოეს თვეებში ვიმღერებ რომში, ვენაში, ბერლინში, ნიუ იორკსა და პარიზში. რომში როლის დებიუტი მაქვს! „სოფლის ღირსება"-ში სანტუცას პარტიას ვიმღერებ რომის ოპერაში. ვენაში „აიდაა", ბერლინში „ტრუბადური". ნიუ იორკში მეტროპოლიტან ოპერის ორკესტრთან ვმღერი მუსორგსკის ციკლს. პარიზში კი კვლავ აზუჩენა. საოცარი შემადგენლობაა და ველი ამ გამოსვლას მოუთმენლად. ივნისის დასაწყისში ნიკოლოზ რაჭველის ნაწარმოებს ვმღერი ბერლინში და ესეც უზომოდ მახარებს.

***– თბილისში როდის გეგმავთ მსმენელთან შეხვედრას?***

– ქართველი მსმენელი 3 მარტს მიხილავს „იავნანას" და ზოგადად ქველმოქმედების მხარდამჭერ გალა-კონცერტზე.

# გიორგი კეკელიძის წიგნები იტალიურად და ჩინურად დაიბეჭდება



მწერლისა და პოეტის გიორგი კეკელიძის წიგნები იტალიურად და ჩინურად დაიბეჭდება.

იტალიასა და ჩინეთში შერჩეულ წიგნთა სია უკვე გამოქვეყნდა, სადაც გიორგი კეკელიძის ორი წიგნია წარმოდგენილი: იტალიაში ,,გურული დღიურები" და ჩინეთში ,,თომას ზღაპრები" დაიბეჭდება. თარგმანები უკვე მზად არის. იტალიურად წიგნი ნათია სულავამ თარგმნა, ხოლო ჩინურად ანა გოგუაძემ. მნიშვნელოვანია, რომ ჩინური ლიტერატურული სამყაროს კარი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ამ ფორმით პირველად შეიღება.

გიორგი კეკელიძე მიწვეულია ჩინეთის წიგნის ფესტივალზეც, სადაც ახალ წიგნთან დაკავშირებით დაგეგმილია მოლაპარაკება, რომელსაც ორგანიზატორები არ ამხელენ და სიურპრიზად ინახავენ.

# ბექა გოჩიაშვილის ჯაზ-ტრიო კონცერტს გამართავს




ცნობილი ქართველი ჯაზ-პიანისტი ბექა გოჩიაშვილი თბილისში კონცერტს გამართავს.

28 თებერვალს მუსიკოსი ქართველ მსმენელს კიდევ ერთ საჩუქარს უმზადებს. ჯაზ-ტრიო ნიუ-იორკიდან თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში კონცერტს ჩაატარებს.

პირველად საქართველოში, ჯულიარდის კურსდამთავრებული ახალგაზრდა ტალანტები ბასისტი მარტი ჯეფი, რომელიც ჯაზის ცოცხალი ლეგენდის რონ კარტერის მოწაფეა და დრამერი ჯიმი მაკბრაიდი ბექა გოჩიაშვილთან ერთად ჯაზ სტანდარტებს და ორიგინალურ კომპოზიციებს შეასრულებენ.

ბექა გოჩიაშვილი მსოფლიო ჯაზის სამყაროში უკვე კარგად არის ცნობილი და ის აღიარებულ ვარსკვლავებთან ერთად სხვადასხვა საკონცერტო სივრცეებში უკრავს. ამერიკული კონცერტების შემდეგ, ბექა მონატრებულ ქართველ მსმენელსაც შეხვდება და მათთვის განსაკუთრებულ საკონცერტო პროგრამას წარმოადგენს.

# თიკო სადუნიშვილმა პრესტიჟულ რესტორანში მკვდარი წრუწუნა აღმოაჩინა



ტელეწამყვანმა თიკო სადუნიშვილმა თბილისში, ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში სტუმრობისას მკვდარი წრუწუნა აღმოაჩინა.

თიკომ საჯაროდ რესტორნის სახელწოდების გამხელა არ ისურვა, თუმცა განაცხადა, რომ ამ რესტორანმა მისგან წითელი ბარათი მიიღო:

– 5 დამშეული ჩვეულებრივი ადამიანი შევვარდით თბილისის ერთ-ერთ არაჩვეულებრივ რესტორანში. ყველა პირველად აღმოვჩნდით და ყველა კერძზეც გავოცდით. ცოტა ქართული ქვევრის ღვინოც ვსვით და გამოსვლისას ეს საყვარელი სულ ახლად დაბრედილი წრუწუნაც მაგიდის ქვეშ დესერტივით დაგვხვდა.

ჩადებულია?! თუ საკუთარი სიკვდილით დაბრედილი, ვერ გავარკვიეთ, მაგრამ ფაქტია, რომ გვამზე გაშლილი ძვირფასიანი სუფრა ყველა პონტში ცუდი ფაქტია!

წითელი ბარათი ჩვენგან მფლობელებს!

დეტალური ინფორმაციით დაინტერესებული პირები პირადში გამომეხმაურეთ!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## პროგრამა

**ოთხშაბათი 28 თებერვალი**

**07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია."კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00, 02.05** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.15** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **13.00** მინი-სერ. "**დომბე და ვაჟი**" **14.00** დოკ/ფ "აბრეშუმის გზა" **15.30, 05.35** ტ/სერ. "**ექვსი და**" **16.30, 06.35** ტ/სერ. "**ღვინის გზა**" **18.30** დოკ/სერ. "სამეფო ტორტები" **20.00** ტელე-თამაში. "ხარ თუ არა მეექვსეკლასელზე ჭკვიანი?!" **21.30** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **22.30** რამაზ ჩხიკვაძე - 90 **23.20** რუსთაველის თეატრის სპექტაკლი. "კავკასიური ცარცის წრე" **03.05** მხ/ფ "**2012**"

**06.30, 19.03** სერ. "**დასაწყისი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.25** ქრონიკა **10.15, 11.20** სერ. "**ელიფი**" **12.30** იმედის დღე **14.40** სერ. "**ტყუილი**" **16.00** სერ. "**ფული და სიყვარული**" **17.45** სერ. "**ცოდვილი**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ფავორიტი**" **22.00** პრაიმ შოუ **23.30** დოკ/ფ რამაზ ჩხიკვაძე **00.30** სერ. "**ღირსების საქ 2**" 6 სერ. **01.15** მხ/ფ "**ლონდონური არდადაგები**" **02.50** მხ/ფ "**კანიონები**" **04.55** მხ/ფ "**ნდობა**"

**06.00, 18.50, 20.04** სერ. "**მეორე შანსი**" **07.00, 20.30** სერ. "**დიდი ოჯახი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ბედის ანაბარა**" **15.40** სერ. "**მზიანი დღეები**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** კომედი შოუ **00.30, 00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი

**tv პირველი** **7.50** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**რამონზე შეყვარებული**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **14.00, 16.00** ლევან ჩხაიძის დღის ამბები **15.00, 22.45**, საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00, 4.00** მხ/ფ **20.00** პოლიტმეტრი **23.30** სერ. "**დამალული სიმართლე**"

**08.00** ან/ფ "ატომი" **08.30** ან/ფ "ავატარი" **09.00** სერ. "**კარგი ცოლი**" 7-8-9 სერ. **12.00** სერ. "**საიდუმლო და ტყუილი 2**" 4 სერ. **13.00** სერ. "**შილდის აგენტები 2**" 7-8-9-10 სერ. **17.00** სერ. "**ფარი 3**" 9-10 სერ. **19.00** სერ. "**ჯაშუში 5**" 8-9 სერ. **21.00** სერ. "**საიდუმლო და ტყუილი 2**" 5 სერ. **22.30** სერ. "**სპარტაკი 2**" 2-3 სერ. **00.30** მხ/ფ "**შერლოკ ჰოლმსი**" **02.45** მხ/ფ "**შერლოკ ჰოლმსი: ჩრდილების თამაში**" **04.45** მხ/ფ "**წყევლა**" **06.35** მხ/ფ "**პარანორმალური მოვლენები**"

**იბერია** **08.00** ანიმაცია **08.30** დოკ/ფ **09.30** თოქ-შოუ "თავისუფალი სივრცე" **10.40, 12.40, 18.05, 19.50** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 00.00** ახალი ამბები **11.20** მე რომ ვიყო **11.30, 01.30** ბიზნესკოდი **13.30, 17.30** ახალი ამბები არჩილ გამზარდიასთან ერთად **14.30** ექიმის საათი **15.00, 04.20** მოდი გავეყაროთ **16.00, 02.20** ფაბრიკა **18.00** ანონსი **18.10** სერ. "**გაქცეულები**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00, 3.20** თოქ-შოუ "თავისუფალი სივრცე" **21.00** მხ/ფ **23.00** ინტერვიუ ვანიჩკასთან

**08.00, 00.00, 02.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.10** ანიმაცია **09.10, 13.30** დ/ფ **10.00, 19.10** სერ. "**დიასახლისი**" **10.50** "დილის ტალღა" (სიუჟეტები) **11.10, 20.00, 20.35** თოქ-შოუ "ჰეშთეგი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მთავარი" **12.20** "მე ვარ ფერმერი" **13.00** ინგლისური ენის გაკვეთილები **14.30** "პროექცია" **15.30** "რჩეული ფრაგმენტები" **15.40**"ბიბლიოთეკა" **16.15** მხ/ფ "**მოდი დავკავდეთ სიყვარულით**" **18.30** "ბუნების კანონი" **20.30** ანონსი **20.45**"იყო და არა იყო რა" (საბავშვო გადაცემა) **21.40** "სცენა" **22.00** "კონტექსტი" **22.40** მხ/ფ "**ქერა ეთერში**" **00.05** მხ/ფ "**სიტყვები და ნახატები**"

**06.10** დ/ფ "ველური ბუნება" **06.40** მხ/ფ "**კაპიტნები**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30, 19.25** "განთიადი" **10.10** აქტუალური თემა **10.40** მხ/ფ "**ფილატელისტის სიკვდილი**" **12.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ/ფ "**ივანე კოტორაშვილის ამბავი**" **13.35** კონცერტი - ანჩისხატის გუნდი "ნადი" **15.05** მხ/ფ "**მზე შემოდგომისა**" **16.25** კონცერტი - გია ყანჩელი "ყველას რაღაც აქვს სახსოვარი" **17.35** საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება **18.10** დ/ფ "რწმენის აღორძინება" **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ძილი ნებისა **21.30** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეიდან **00.35** მხ/ფ "**ნაზარის უკანასკნელი ლოცვა**" **01.45** კონცერტი - საოპერო მუსიკის საღამო **03.10** მხ/ფ "**ანა და მეფე**"

**მაესტრო** **10.00 - 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

28 თებერვლისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.4763 |
| ევრო | — 3.0585 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.4814 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.4274 |

## ამინდის პროგნოზი 28 თებერვლისთვის








## 22 თებერვლიდან

ეჟენ იონესკო

# განდგომილი

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

## 23 თებერვლიდან

ალექსანდრ ლევკოვსკი

# ყველაზე შორეული ზურგი




წიგნი მოგვითხრობს 1943 წლის ზაფხულის მღელვარე პერიოდზე. მკითხველისთვის საინტერესო იქნება ნაკლებად ცნობილი „ლენდ ლიზი“-ის პროექტის გაცნობა, რომლის მიხედვითაც ამერიკამ მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირი 11 მილიარდი დოლარის ღირებულების სამხედრო მასალებითა და სურსათით მოამარაგა. რომანში მოქმედება სსრკ-ში, ჩინეთში, ამერიკაში, იტალიაში, ესპანეთსა და წყნარი ოკეანის კუნძულებზე ვითარდება.

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




## 27 თებერვლიდან

შიო გვეტაძე

# მონანიება

ქართული დეტექტივი
ტომი 14

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


## ლუკაკუს პრემიერ ლიგის ოლ სტარის ჩატარება სურს



მანჩესტერ იუნაიტედის ფორვარდ რომელუ ლუკაკუს საკმაოდ საინტერესო აზრი მოუვიდა. მან ინგლისის საფეხბურთო ფედერაციას ოლ სტარის ჩატარება შესთავაზა, ზუსტად ისე, როგორც ეს ნბა-ში ხდება.

ლუკაკუს აზრით, გულშემატკივრებმა უნდა მისცენ ხმები, რის შემდეგაც საუკეთესო ფეხბურთელებისგან შემდგარი ორი გუნდი ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს.

ლუკაკუ დარწმუნებულია, რომ მსგავსი რამ დიდ ინტერესს გამოიწვევს და ამ თამაშის ხილვა უამრავ ადამიანს მოუნდება.

ინგლისის საფეხბურთო ფედერაციას ჯერჯერობით ამ საკითხზე კომენტარი არ გაუკეთებია.

## ატლეტიკომ ფერეირა კარასკო ჩინეთში გაუშვა

მადრიდის ატლეტიკოს ბელგიელი შემტევი იანიკ ფერეირა კარასკო კარიერას ჩინეთში გააგრძელებს. ეს ინფორმაცია მადრიდის ატლეტიკომ ოფიციალურად დაადასტურა.



ბოლო პერიოდში კარასკო იშვიათად ხვდებოდა ატლეტიკოს ძირითად შემადგენლობაში, ამიტომ მისი წასვლა არავისთვის გასაკვირი არ ყოფილა.

კარასკოს გარდა, ატლეტიკომ გუნდიდან ნიკოლას გაიტანიც გაუშვა, რომელიც, სავარაუდოდ, ასევე ჩინეთში გააგრძელებს კარიერას.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**



## იუმორი

მამაკაცი მღვდელს ეკითხება:

— მამაო, მარხვაში ქალთან შეიძლება?

— შეიძლება, შვილო ჩემო, მხოლოდ მსუქანი არ უნდა იყოს.

•••

მამაკაცი აფთიაქის გამყიდველს ეუბნება:

— პრეზერვატივების შეკვრა მომეცით.

— რომელი ზომის?

— არ ვიცი...

— მაშინ აიღეთ ეს ხვრელებიანი დაფა, შედით ტუალეტში და ზომა აიღეთ.

ათი წუთის შემდეგ მამაკაცი ბრუნდება და ეუბნება:

— გადავიფიქრე, პრეზერვატივები აღარ მჭირდება და ეს დაფა რა ღირს?

•••

ერთი დაქალი მეორეს ეკითხება:

— ასეთი აღელვებული რატომ ხარ?

— გუშინ ქმარს სათევზაო მოწყობილობა ვაჩუქე.

— მერე, რა პრობლემაა, ხომ უყვარს თევზაობა, შენ არ ამბობდი, 10 წელია ყოველ დასვენების დღეს სათევზაოდ მიდისო?

— რა და, ჯერ ხელში დიდხანს ატრიალა და მერე მეკითხება, ეს რა არისო?

•••

ქალი ქირურგს ეკითხება:

— ექიმო, როგორ არის?

— იცით, მძიმე მდგომარეობაშია, ინფარქტი და მოტეხილობები აქვს.

— შემიძლია, რომ დაველაპარაკო?

— სამწუხაროდ, არ შეიძლება. თუ რაიმე გინდათ მითხარით და მე გადავცემ.

— თუ შეიძლება ჰკითხეთ, მართვის მოწმობის გამოცდა ჩააბარე?

•••

ექიმს გოგონა ეუბნება:

— ექიმო, ჩემს მეხსიერებას რაღაც სჭირს. ყველაფერი, რაც კი თავს გადამხდება, ხუთ წუთში მავიწყდება.

— კარგით, გაიხადეთ და დაწექით...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**





## 16 თებერვლიდან

შორენა ლებანიძე

# ეს მე ვარ, ფიროსმანი

რომანი დიდი ქართველი მხატვრის, ნიკო ფიროსმანის ცხოვრების თავისებურ ლიტერატურულ ვერსიას გვთავაზობს, რომელიც დოკუმენტურ მასალებზე, საარქივო წყაროებსა და თანამედროვეთა მიერ მოთხრობილ რეალურ ცნობებზეა დამყარებული.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

## 21 თებერვლიდან

მაკა სეფაშვილის

# დანაშაული აღარ მოხდება

„ქართული დეტექტივის“ მე-8 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი







## 1 მარტიდან

კანდიდ ჩარკვიანი

# სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## იკერ კასილასს პრემიერ ლიგაში სურს თამაში



ცნობილი ესპანელი მეკარე იკერ კასილასი ჯერჯერობით კარიერის დასრულებას არ აპირებს და შესაძლებელია, ინგლისში გადაბარგდეს. ამჟამად კასილასი პორტოს მეკარეა, მაგრამ მას მთავარ მწვრთნელთან კონფლიქტი აქვს, ამიტომ იკერი თითქმის არ გამოდის მოედანზე და იშვიათად თამაშობს.

კასილასის შეძენა რამდენიმე ინგლისურ კლუბს სურს, მაგრამ ყველაზე მეტ ინტერესს ნიუკასლი იჩენს, რომლის მწვრთნელიც რაფაელ ბენიტესია. ბენიტესს სურს კასილასთან ერთად მუშაობა, ამიტომ იკერის ნიუკასლში ტრანსფერი საკმაოდ რეალურია.

## ლონდონის ჩელსი ედენ აზარის შენარჩუნებას ცდილობს

ლონდონის ჩელსიმ თავის ერთ-ერთ ლიდერ ედენ აზარს ახალი კონტრაქტი შესთავაზა. ბოლო პერიოდში ხშირია საუბრები იმის შესახებ, რომ აზარი შესაძლოა სხვა გუნდში გადავიდეს სათამაშოდ და ჩელსი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ეს არ მოხდეს.

აზარის ხილვა საკუთარ რიგებში მადრიდის რეალის მწვრთნელ ზინედინ ზიდანს სურს, რომელიც ბელგიელი ფეხბურთელის დიდი გულშემატკივარია.

აზარი თავის შესაძლო წასვლასთან დაკავშირებით ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს, თუმცა ერთ-ერთ ინტერვიუში მან თქვა, რომ რეალი ძალიან ძლიერი გუნდია და იქ თამაში ბევრი ფეხბურთელის ოცნებაა.

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. პოეტ ნიკო რაზიკაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 2. ფულის საერთაშორისო ერთეული; 3. ცრუ დაპირებებით მასებზე გავლენის მოხდენის მცდელობა; 4. მდინარე, ხეობა აფხაზეთში; 5. სამრეწველო საწარმო; 8. ვულკანი იტალიაში; 9. მეცნიერება საარტილერიო და რეაქტიული ჭურვების მოძრაობის შესახებ; 12. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული რუმინეთში; 14. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 16. მოხარშული ზეთი საღებავებისა და ლაქების დასამზადებლად.

**თარაზულად**: 1. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 6. დედამიწის ფორმებისა და ზომების შემსწავლელი მეცნიერება; 7. გურიასა და აჭარაში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 9. დიდი სატრანსპორტო-სამგზავრო გემი; 10. ერთგულების მტკიცე პირობა; 11. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 13. ჩეხეთის დედაქალაქი; 15. პოპულარული ქართული ხალხური სიმღერა; 17. უმცროს მეთაურთა სამხედრო ჩინი არმიაში; 18. „ფორმულა-1“-ში მონაწილე გერმანელი ავტომრბოლელი; 19. ფულადი ჯილდო; 20. სასამართლო განაჩენის გასაჩივრება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

